

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების (ალგეთის ეროვნული პარკი, წალკის ანუ დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი, ბირთვისის ბუნების ძეგლი და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი)ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტი

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების (ალგეთის ეროვნული პარკი, წალკის ანუ დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი, ბირთვისის ბუნების ძეგლი და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი) ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტი

დამკვეთი: *დაცული ტერიტორიების სააგენტო*

ფინანსური მხარდაჭერა: *შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)*

შემსრულებელი: *შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“*

პროექტი: *საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები*

თბილისი, 2023

სარჩევი

1 წინასაპროექტო კვლევა 5

1.1 შესავალი 5
1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება 5
1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი 6

2 გენერალური გეგმის შემუშავება 6

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი 6
2.2 განმარტებითი ბარათი 6
2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი 6
2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო 8
2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი 9
2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი 10
2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები 10
2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა 11
2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი 12
2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი 13
2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი 13

3 დაცულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი 14

3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი 14
3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი 14
3.1.2 არსებული ზონირება 15
3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება 16
3.1.4 ლანდშაფტები 17
3.1.5 ბიომრავალფეროვნება 18
3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი 18
3.1.5.2 ფაუნა 18
3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები 19
3.1.6 კლიმატური პირობები 20
3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები 20
3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა 20
3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა 21
3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა 21
3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა 21
3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი 27
3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები 27
3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა 28
3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები 28
3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები 29
3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები 30
3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები 32
3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები 33
3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები 34
3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები 35

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები 37

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია 37
4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები 37
4.2.1 ალტერნატივა 1 – „თხინვალას ეკოტურისტული ლოკაცია“ 41
4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა 41
4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 42
4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 42
4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 46
4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 46
4.2.2 ალტერნატივა 2 – „შიხანის ეკოტურისტული ლოკაცია“ 46
4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა 46
4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 48
4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 48
4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 52
4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 52
4.2.3 ალტერნატივა 3 - „მოხისის ეკოტურისტული ლოკაცია“ 52
4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა 52
4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 54
4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 54
4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 56
4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 57
4.2.4 ალტერნატივა 4 – „ალგეთის ხეობის ეკოტურისტული ლოკაცია“, ე.წ. „ბურატინოს ტბის“ მიმდებარედ 58
4.2.4.1 ადგილმდებარეობის აღწერა 58
4.2.4.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 59
4.2.4.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 59
4.2.4.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 63
4.2.4.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 63
4.2.5 ალტერნატივა 5 - „ზემო ჭინჭრიანის ეკოტურისტული ლოკაციები“ 63
4.2.5.1 ადგილმდებარეობის აღწერა 63
4.2.5.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 65
4.2.5.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 66
4.2.5.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 71
4.2.5.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 71
4.2.6 ალტერნატივა 6 - „უგუდეთის ეკოტურისტული ლოკაცია“ 71
4.2.6.1 ადგილმდებარეობის აღწერა 71
4.2.6.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 73
4.2.6.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 73
4.2.6.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 76
4.2.6.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 76
4.2.7 ალტერნატივა 7 - „თბილისი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორია 76
4.2.7.1 ადგილმდებარეობის აღწერა 77
4.2.7.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 78
4.2.7.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 79
4.2.7.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 82
4.2.7.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 82
4.2.8 ალტერნატივა 8 - „მამიდას ქვის ეკოტურისტული ლოკაცია“ 83
4.2.9 ალტერნატივა 9 - „ბირთვისის ბუნების ძეგლის ეკოტურისტული ლოკაცია“ 83

4.2.10 ალტერნატივები 10 და 11 84
4.3 ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასება 84
4.4 კონსერვაციის პრინციპების დაცვა და უსაფრთხოება 93
5 დასკვნები და რეკომენდაციები 95
6 გამოყენებული ლიტერატურა 96

1 წინასაპროექტო კვლევა

1.1 შესავალი

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განვითარებულია ეკოტურიზმი, როგორც სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე მოგზაურობის ფორმა, რომელიც გვთავაზობს ბუნებისა და კულტურის ინტერპრეტაციასა და გამოცდილების მიღებას და გარემოზე დაბალი ზემოქმედებით ხასიათდება. ეკოტურიზმი ხელს უწყობს მოგზაურთა მიერ ბუნების აღქმასა და შემეცნებას და ამასთან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საკუთარი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების დაფასებას. ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტს. გენერალური გეგმის პროექტი შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 2022 წელს დაწყებული საგრანტო პროგრამის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით.

გენერალური გეგმის პროექტი განსაზღვრავს მიზნებს, რომელთა მიღწევას ცდილობს დაცული ტერიტორიების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და სხვა სახელმწიფო უწყებები ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. წინამდებარე დოკუმენტი, ასევე, ასახავს შესაძლო მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად. საერთაშორისოდ დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს. დოკუმენტი განსაზღვრავს გრძელვადიან ზოგად ხედვას, ხოლო მასში მოცემული მიდგომების და რეკომენდაციების იმპლემენტაცია რეკომენდებულია ეფუძნებოდეს დეტალურ მართვის გეგმებს, რომელიც უფრო მოკლევადიან პერიოდზე იქნება გათვლილი.

1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება

ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერების დაგეგმარების პირველ ეტაპზე განისაზღვრა სავალე სამუშაოებში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი. დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა საველე სამუშაოების ძირითადი მიზნები, დაიგეგმა ველზე მუშაობის გეგმა-გრაფიკი და გადაადგილების მარშრუტები და ა.შ. საველე კვლევა-დათვალიერების პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ლანდშაფტის არქიტექტორის, სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტის, GIS-ის სპეციალისტისა და ეკოლოგისგან.

პერსპექტიული ლოკაციების კვლევამ მოიცვა არსებული ბუნებრივი პირობების (ბიომრავალფეროვნების კომპონენტები, რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, გეოდინამიკური პროცესები და ა.შ.) შეფასება, არსებული საგზაო და საინჟინრო კომუნიკაციების ანალიზი, ფოტოგრაფირება. მოხდა ინფორმაციის შეგროვება მიმდებარედ მაცხოვრებლების და რეინჯერების ინტერვიუირების გზით. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა პერსპექტიული ლოკაციების ექსპერტული შეფასება, შემდგომში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობის მხრივ.

დეტალური მეთოდოლოგია და შეფასების ანალიზი აღწერილია დოკუმენტის შემდგომ პარაგრაფებში.

1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი

დოკუმენტის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა არსებული ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს. პირველ ეტაპზე მოხდა არსებული დოკუმენტაციის შეგროვება დაცული ტერიტორიების სააგენტოდან და სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც მუშაობენ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების განვითარების მიმართულებით. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზებული იქნა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის ალგეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, 2020; საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია, 2020-2030; ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია, 2017 და სხვა.

გარდა ამისა, მოხდა ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან უახლესი ინფორმაციის გამოთხოვნა წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით. მათ შორის ადმინისტრაციის მხრიდან მოწოდებული იქნა ტურისტული ნაკადების სტატისტიკური მონაცემები, ინფორმაცია ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების, მათ ინტერესის ძირითადი სფეროს შესახებ. ასევე მოწოდებული იქნა ინფორმაცია ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ და ა.შ. გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სხვა დაინტერესებულ პირებთან.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა ექსპერტული ჯგუფის მიერ და აისახა დოკუმენტში.

2 გენერალური გეგმის შემუშავება

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავება განხორციელდა ტექნიკური დავალების შესაბამისად, წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე და მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გენერალური გეგმის პროექტი შედგება აღწერილობითი (ტექსტური) და გრაფიკული ნაწილებისგან.

გენერალური გეგმის აღწერილობითი ნაწილი მოიცავს სამიზნე დაცულ ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შედეგებს და ლიტერატურული/საფონდო მასალებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს. ასევე წარმოდგენილია საველე კვლევისას შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების აღწერა და მათი განვითარების კონცეფციის მიმოხილვა. გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი მომზადებულია წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე და მოიცავს აღწერილობითი ნაწილის დარუკებას.

2.2 განმარტებითი ბარათი

2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი

ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, იმ დაცული ტერიტორიებისათვის, სადაც დაშვებულია რეკრეაციული აქტივობები და ვიზიტორთა მიერ აქტიურად ხდება აღნიშნული ტერიტორიებით სარგებლობა. ასევე მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე იმ დაცული ტერიტორიებისათვისაც, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული ეკოტურიზმი, თუმცა კანონის შესაბამისად წარმოადგენს დაშვებულ აქტივობას.

ეკოტურიზმის განვითარებამ, მათ შორის ახალი ეკოტურისტული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შესაძლოა გაზარდოს დაცულ ტერიტორიების ქაოტური განვითარების რისკები, ამით დაიკარგოს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და საინვესტიციო ღირებულება და საფრთხის წინაშე დადგეს დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნების მიღწევა. შესაძლოა ამ რეალობით დაცული ტერიტორიები გახდეს ნაკლებად მიმზიდველი ვიზიტორებისთვის და შესაბამისად სხვადასხვა სახის ეკოტურისტული სერვისების განვითარებისთვის.

აუცილებელი პირობაა, რომ დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება და მართვა განხორციელდეს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მდგრადი განვითარების პრინციპების და არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნების მიღწევას. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება აქ არსებული ბუნებრივი კომპონენტების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება და დაცვა, რაც თავის მხრივ შეინარჩუნებს და გაზრდის ვიზიტორების დაცული ტერიტორიებით დაინტერესებას.

ამავე დროს ვიზიტორების დაცული ტერიტორიებით დაინტერესების ზრდამ არ უნდა გამოიწვიოს ის უარყოფითი შედეგები, რომელიც ზოგადად მასობრივი ტურიზმის თანმდევია. ამიტომ ეკოტურიზმის განვითარების პროცესში საინტერესო სერვისების დივერსიფიცირებას, შესაბამის რეგულიაციებსა და კონტროლს სათანადო ყურადღება სჭირდება.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს, როგორც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით, ასევე საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს მისი ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულებები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ვიზიტორებში.

ბოლო წლებში, მსგავსად საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისა, ალგეთის ეროვნული პარკის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებში გატარდა სხვადასხვა ღონისძიება ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ნაბიჯები გადაიდგა დაცული ტერიტორიის ეფექტურად მართვის მიმართულებით (მათ შორის შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წელს დამტკიცებულია ალგეთის ეროვნული პარკის, წალკის (დაშბაშის) კანიონის ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა, 9 წლიანი მოქმედების პერიოდით). ასევე უნდა აღინიშნოს 2017 წელს, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შემუშავებული ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია.

დონორი ორგანიზაციების დახმარებით ბოლო წლებში განხორციელდა სხვადასხვა პროექტი, მათ შორის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა დაბა მანგლისში, ტურისტული თავშესაფრების მოწყობა ეროვნული პარკის საზღვრებში, ბილიკებზე საინფორმაციო დაფების განთავსება და ა.შ. განვითარდა ეკოსაგანმანათლებლო მიმართულება. ადმინისტრაციისათვის ასევე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობა, რისთვისაც შექმნილია და გამოიყენება შესაბამისი საინფორმაციო საშუალებები.

აუცილებელია აღინიშნოს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი წალკის კანიონზე, რომლის ფარგლებშიც მოხდა შუშის ხიდის, სასტუმროს და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. პროექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა ალგეთის დაცული ტერიტორიების ცნობადობა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორებში.

მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება რიგი საკითხები - სრულად არ არის გამოყენებული დაცული ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული და ლანდშაფტური პოტენციალი. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებობს არაერთი, ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით გამორჩეული ადგილები, რომელთა ცნობადობა არ არის მაღალი, თუმცა გააჩნია ეკოტურიზმის არერთი მიმართულებით განვითარების საკმაოდ კარგი პოტენციალი. საჭიროა ასეთი ადგილების პერსპექტივების წარმოჩენა და დაცული ტერიტორიების საზღვრებში უკვე არსებულ სხვა ეკოტურისტულ ლოკაციებთან ჰარმონიული კავშირის ხელშეწყობა. მეორე მხრივ, დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურისტული პროდუქტების სივრცითი დივერსიფიცირება უზრუნველყოფს უკვე ცნობადი და ტურისტულად დატვირთული ლოკაციების ბუნებრივ თუ სოციალურ კომპონენტებზე ნეგატიური წნეხის შემცირებას.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები ახლოს მდებარეობს მნიშვნელოვან სოციალურ და კულტურულ ცენტრთან - ქ. თბილისთან. მომიჯნავედ წარმოდგენილი არის საბჭოთა პერიოდიდან ცნობილი კურორტი მანგლისი. ეროვნული პარკი გარს არტყავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს. დასახლებული პუნქტები და საგზაო ინფრასტრუქტურაა წარმოდგენილი ბუნების ძეგლების სიახლოვესაც. ჩამოთვლილი გარემოებები კიდევ უფრო ზრდის ტურისტული ინფრასტრუქტურის უსისტემო განვითარების, აქ წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების და ბუნებრივ-კულტურულ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მდგრადი ხედვის ჩამოყალიბება. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავების და შემდგომში მისი დეტალიზაციით შესაძლებელი იქნება საკმაოდ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღება. მნიშვნელოვანია, ეკოტურიზმის განვითარება მოხდეს არსებული ეკოსისტემური სერვისების პოტენციალის ეფექტური გამოყენებით, თუმცა მათი შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით.

2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები მოცემულია ცხრილში 2.2.2.1.

ცხრილი 2.2.2.1. დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები

მიღების/ დამტკიცების წელი	კანონის/ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1996	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ.“	360.050.000.05.001.000.127
2007	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ.“	360.050.000.05.001.003.060
1996	საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ.“	360.000.000.05.001.000.184
2018	საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.“	330090000.05.001.019104
2007	საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“	450.030.000.05.001.002.815
2014	საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი.“	360160000.05.001.017608
2017	საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.“	360160000.05.001.018492
2014	საქართველოს მთავრობის №17 დადგენილება	300160070.10.003.017608

	„გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი.“	
2016	საქართველოს მთავრობის №475 დადგენილება. ტექნიკური რეგლამენტი - „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.“	300160070.10.003.019541
2019	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-4 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	360050000.22.023.016564

დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული საერთაშორისო კონვენციები, რომელზეც მიერთებულია საქართველო:

- ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნის კონვენცია, 1979 წ.);
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
- კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი

დოკუმენტის შემუშავების პროცესი მოიცავდა ორ ძირითად ეტაპს: საოფისე სამუშაოებს, რაც ითვალისწინებდა არსებული მასალების მოძიებასა და დამუშავებას და სამიზნე ტერიტორიებზე საველე კვლევებს, მათ შორის დაინტერესებულ მხარეებთან (დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე მეწარმეები და სხვა) შეხვედრებსა და დისკუსიებს.

მოძიებული იქნა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტაცია (მათ შორის არსებული მენეჯმენტის გეგმა, ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სხვა), გაანალიზებული იქნა მათში წარმოდგენილი ძირითადი ასპექტები და პრიორიტეტები, რაც შემდგომში, დაცული ტერიტორიების საზღვრებში სამიზნე ტერიტორიების შერჩევის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

გარდა ამისა, მოძიებული და გაანალიზებული იქნა შესაბამისი საფონდო მასალა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც შეეხება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი კომპონენტების (ლანდშაფტური მახასიათებლები და ბიომრავალფეროვნება, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები და ა.შ.) არსებულ მდგომარეობას. ასევე მოხდა არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ორგანიზაციების საჯარო წყაროებზე დაყრდნობით.

გარკვეული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა ადგილზე მომუშავე პერსონალისგან (რეინჯერები და სხვა). გათვალისწინებული იქნა მათი წარსული გამოცდილება და მოსაზრებები პოტენციურ სამიზნე ტერიტორიებთან, ადგილობრივი მოსახლეობის მთავარ გამოწვევებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საოფისე სამუშაოების საფუძველზე დაიგეგმა საველე კვლევების მეთოდოლოგია. წინასწარ მოინიშნა შესაბამისი ადგილები და მარშრუტები. ამ მხრივ აქცენტი გაკეთდა დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ ტერიტორიებზე. მომზადდა შესაბამისი (საველე კვლევის პროცესში გამოსაყენებელი) კარტოგრაფიული მასალები (ელექტრონული და ბეჭდური სახით). საველე სამუშაოები შესრულდა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტის მიერ.

სამიზნე ტერიტორიების კვლევა-დათვალიერების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგი კომპონენტების შესწავლაზე:

- ადგილმდებარეობა, სამიზნე ტერიტორიების ხელსაყრელი განლაგება არსებული და პოტენციური ტურისტული მარშრუტების მიმართ;
- განაშენიანება, არსებული შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები, მათი ფუნქციური დატვირთვა. არსებული შენობა-ნაგებობების დიზაინი და ა.შ.;
- რელიეფური და გეოლოგიური პირობები, მათ შორის მიმდინარე გეოდინამიკური და ჰიდროლოგიური პროცესები და მათთან დაკავშირებული საფრთხეები;
- ბიომრავალფეროვნების (ლანდშაფტები, მცენარეული საფარი, ცხოველები და მათი პოტენციური საბინადრო ადგილები, ნიადაგი) არსებული მდგომარეობა და ხარისხობრივი შეფასება. არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ზემოქმედება, მათი მგრძნობელობა და ა.შ.;
- ისტორიულ-კულტური მემკვიდრეობის ძეგლები;
- სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, მათ შორის: მიწათსარგებლობის არსებული პრაქტიკა; მიმდებარედ არსებული დასახლებული ზონის მოსახლეობის კავშირი და დამოკიდებულება სამიზნე ტერიტორიებზე და ა.შ.

2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი

ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე გენერალური გეგმის მოქმედების არეალი მოიცავს მხოლოდ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების (ალგეთის ეროვნული პარკი, ფართობით 8768 ჰა; წალკის ანუ დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი, ფართობით 538 ჰა; ბირთვისის ბუნების ძეგლი, ფართობით 514,8 და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი, ფართობით 405 ჰა) საზღვრებს.

გეგმა აქცენტირებულია ალგეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონებსა და ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მოქმედების არეალი ფარავს დაცული ტერიტორიების პრაქტიკულად მთლიან არეალს (გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა), თუმცა ორიენტირებულია კვლევის შედეგად შერჩეულ პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე, ეკოტურისტულ მარშრუტებზე და მათ ფარგლებში არსებულ ან დაგეგმილ სხვადასხვა ეკოტურისტულ სერვისებზე.

2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები

გენერალური გეგმის მიზნებს წარმოადგენს:

- ალგეთის დაცული ტერიტორიის პოპულარიზაცია და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების დაინტერესების შენარჩუნება. ამავე დროს იმ ლოკაციებით დაინტერესების გაზრდა, რომელიც ნაკლებად ცნობადია დღეისათვის. ასეთი მიდგომით ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირების ხელშეწყობა და ამჟამად მეტ-ნაკლებად განვითარებულ ლოკაციებზე ანთროპოგენური წნეხის შემცირება ან ასეთი წნეხის სამომავლო ზრდის პრევენცია;
- ეკოტურიზმის განვითარების ისეთი მიდგომების შეთავაზება, რომელიც შესაბამისობაში იქნება დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნებთან. ეკოტურიზმის სწორი დაგეგმვა და განვითარება, რაც ძირითადად ეფუძნება ბუნებრივი გარემოს შემეცნებას, მისი მაქსიმალური შენარჩუნების და ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის პირობის დაცვით;
- ადგილობრივი თემების, მცირე მეწარმეების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობა, რათა მათ ისარგებლონ ეკოტურიზმის პოტენციალით, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და გაზარდონ თავიანთი შემოსავლები;

- მსხვილი და საშუალო ბიზნესის დაინტერესება ინვესტირებისთვის, განსაკუთრებით იმ ლოკაციებზე, რომელიც ნაკლებად ცნობადია დღეისათვის). ამავე დროს დაცული ტერიტორიების საზღვრებში კერძო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის ქაოტური განვითარების პრევენცია;
- დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ქვეყნის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი ამოცანებია:

- ეკოტურიზმის განვითარების პროცესში ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინება;
- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და დოკუმენტის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ეკოტურისტული სერვისების იდენტიფიცირება (საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება და პერსპექტივების დასახვა);
- დეტალური გენერალური გეგმების შემუშავებისთვის სამიზნე აუდიტორიის, პერსპექტიული საინვესტიციო ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- დაცული ტერიტორიის საზღვრებში სივრცითი დაგეგმარების კონცეფციის შემუშავება (ეკოტურისტული სერვისები, მარშუტები, ბილიკები, ღირსშესანიშნაობები, ზიპლაინი, კლდეზე ცოცვა და ა.შ.).

2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების, მათ შორის შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების განვითარების ხედვა ეფუძნება მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპებს და ითვალისწინებს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიას, საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურიზმის განვითარებისას პრიორიტეტი ენიჭება არსებული ბუნებრივი გარემოს და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვას, შენარჩუნებას და მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. საჭიროა ეკოტურიზმის განვითარების ყველა ეტაპი უზრუნველყოფდეს დაინტერესებულ პირთა მაქსიმალურ ჩართულობას, რის საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი ტრადიციები, ცხოვრების წესი და კულტურული ღირებულებები.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის მიხედვით ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგს:

- მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და არსებულის განვითარება, მათ შორის:
    - სხვადასხვა სიგრძის ბილიკების მოწყობა რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით, სადაც უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად მგრძნობიარე გზით (ფეხით, ველოსიპედით ან ცხენით) გადაადგილება;
    - ეკოტურიზმის მახასიათებლებთან შეუსაბამო პროდუქტების ჩანაცვლებას ეკოტურისტული პროდუქტებით;
    - სპეციფიკური და კრეატიული პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც მოიცავს ინტერპრეტაციას, გადასახედ წერტილებს, გიდის თანხლებით გასეირნებებს,

ველური ბუნების დათვალიერების შესაძლებლობებს, სპეციალურ ღონისძიებებს და ა.შ;

- არსებული და პერსპექტიული ეკოსისტემური სერვისების პოტენციალის გზარდა. უნდა მოხდეს ისეთი რეკრეაციული და საგანმანათლებლო აქტივობების და ახალი ტურისტული პროდუქტების გამოვლენა, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივ ბუნებრივ-კულტურულ ფასეულობებს, კონსერვაციის მიზნებს და ამავე დროს წარმოადგენს შემოსავლის დამატებით წყაროს, მათ შორის:
  - დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის (იგულისხმება პირდაპირი შემოსავლის გამომუშავება დაცული ტერიტორიების კონსერვაციული მიზნების მისაღწევად და ეფექტური მართვისთვის);
  - ადგილობრივი მოსახლეობისთვის (იგულისხმება ადგილობრივი თემების პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა, რაც დაცული ტერიტორიის მაღალღირებული ბუნებრივი კომპონენტების კონსერვაციის დამატებით სტიმულს წარმოადგენს);
- ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ადამიანური რესურსების განვითარების უზრუნველყოფა;
- ეფექტური მარკეტინგი და ინფორმაციის მიწოდება ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებლებისთვის (მათ შორის ვიზიტორები, ადგილობრივი და საერთაშორისო ტურ-ოპერატორები). ამისთვის ბეჭდური და ციფრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მონიტორინგის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს: უკუკავშირს ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებლებთან გაწეული მომსახურებით კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით; ადგილობრივ გარემოზე და თემებზე ზემოქმედების დონის განსაზღვრას; მონიტორინგის შედეგების გამოყენებას გამოსწორების და შემდგომი სარეკომენდაციო ღონისძიებების შემუშავებისთვის.

საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის ზემოთჩამოთვლილი ძირითადი პრინციპები ინტეგრირებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების ინდივიდუალურ სტრატეგიებში, მათ შორის ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიაში. ალგეთის დაცული ტერიტორიების ინდივიდუალურ გეგმაში გათვალისწინებული იყო საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის ძირითად პრინციპები, თუმცა აქცენტი გაკეთებული იყო კონკრეტულ საკითხზებზე, მათ შორის: მართვის უკეთესი მოდელის დანერგვის მიზნით მენეჯმენტის საჭიროებებზე, ლანდშაფტური გარემოს სპეციფიკასთან შესაბამის ეკოტურისტული სერვისების შეთავაზებაზე და ა.შ.

დღეისათვის ალგეთის დაცული ტერიტორიების ინდივიდუალურ გეგმაში არსებული ძირითადი მიმართულებები აღარ არის აქტუალური ან არსებული რეალობის გათვალისწინებით მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს. მიუხედავად ამისა, წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზებული იქნა აღნიშნული გეგმის ძირითადი პრიორიტეტები.

2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი

გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს მისი დამტკიცებიდან 10 წელს და არის სარეკომენდაციო ხასიათის.

2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი

დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და განახლება უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, საჭიროებისამებრ. გენერალური გეგმის პროექტი მომზადებულია ზოგადი კვლევების საფუძველზე და წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს. ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს ხელახლა განხორციელებული დეტალური კვლევების საფუძველზე.

შერჩეული ლოკაციების საზღვრების კორექტირებას ან მის ფარგლებში შემოთავაზებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის ცვლილებების გადაწყვეტილებას რეკომენდირებულია წინ უძღოდეს დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი დისკუსიები და საჯარო განხილვები.

2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი

წინამდებარე გენერალური გეგმის პროექტის მონიტორინგი მიზნად უნდა ისახავდეს დოკუმენტში ასახული ტურისტული და ინფრასტრუქტურული განვითარების ზოგადი ხედვების და პრინციპების გათვალისწინებას/ასახვას დაცული ტერიტორიებისთვის მომზადებულ დეტალურ დოკუმენტებში/პროექტებში (მაგ. მენეჯმენტის გეგმა, საინვესტიციო პროექტები, სხვადასხვა კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტები და სხვ.). გენერალური გეგმის პროექტის პრინციპების გათვალისწინებას მონიტორინგს გაუწევს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო “და ტერიტორიული ადმინისტრაცია.

3 დაცულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი


3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი

3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და მოიცავს თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობებს, მდინარეების ალგეთის, ქცია-ხრამის და ჭივჭავას ხეობებს. დაცული ტერიტორიების ჯამური ფართობია 10 225,8 ჰა.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების მდებარეობა ნაჩვენებია ნახაზზე 3.1.1.1.

ნახაზი 3.1.1.1. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა



ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ალგეთის ეროვნული პარკი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას). ფართობი - 8 768 ჰექტარი. ეროვნული პარკი მოიცავს მდ. ალგეთის და მისი შენაკადების ხეობებს. ჩრდილოეთ საზღვარი მიუყვება თრიალეთის ქედის თხემურ ნაწილს(მდინარეების ალგეთისა და თეძამის წყალგამყოფი). ეროვნული პარკის სამხრეთ ნაწილში საზღვრები დაბალ ნიშნულებზე, ნაწილობრივ თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის სიახლოვეს გადის;
- წალკის (დაშბაშის) კანიონის ბუნების ძეგლი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას). ფართობი -

538 ჰექტარი. მდებარეობს მდინარე ქცია-ხრამის ხეობაში, წალკის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სოფ. დაშბაშის სიახლოვეს;

- სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას). ფართობი - 405 ჰექტარი. მდებარეობს მდინარე ქცია-ხრამის და ჭივჭავის ხეობებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვრებში სოფ. სამშვილდის სიახლოვეს;
- ბირთვისის ბუნების ძეგლი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას). ფართობი - 514,8 ჰექტარი. მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვრებში, სოფ. ტბისის სიახლოვეს.

3.1.2 არსებული ზონირება


ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ფუნქციონალური ზონირება განსაზღვრულია 2020 წელს დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმის საფუძველზე. ზონირების მიზანია დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება. გამოყოფილია შემდეგი ფუნქციონალური ზონები:

<u>ბუნების მკაცრი დაცვის ზონა</u> - ზონა შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, რომლებიც ძალიან ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად. ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფართობია 2 983 ჰა და ძირითადად მოიცავს ეროვნული პარკის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ პერიფერიულ ნაწილებს.

<u>ტრადიციული გამოყენების ზონა</u> - ზონა გამოყოფილია გარემოს დაცვის, ასევე განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების მიზნით. ზონა მოიცავს ალგეთის ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად. ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობია 5 785 ჰა და ძირითადად მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ახლოს მდებარეობენ დასახლებულ პუნქტებთან.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ზონირება მოცემულია ნახაზზე 3.1.2.1.

ნახაზი 3.1.2.1. ალგეთის ეროვნული პარკის ზონირება



3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ისტორია იწყება 1965 წლიდან, როდესაც შეიქმნა ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი. აქ წარმოდგენილი ტყეები გამოცხადდა როგორც ფლორის, ასევე ფაუნის კომპლექსურ ნაკრძალად. იმჟამად დაცული ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 6 400 ჰა-ს.

დაცული ტერიტორიების თანამედროვე სახით ჩამოყალიბება დაიწყო 2007 წლიდან, როდესაც შეიქმნა ალგეთის ეროვნული პარკი. 2016 წელს ჩატარებული დემარკაციის შედეგად, ალგეთის ეროვნული პარკის მთლიანი ფართობი 6 822 ჰა-დან გაიზარდა 8 768 ჰა-მდე. ალგეთის ეროვნული პარკის შექმნის მიზანია ამ ტერიტორიაზე ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება, კერძოდ აღმოსავლური ნაძვისა და კავკასიური სოჭის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთ საზღვრის დაცვა მცირე კავკასიაში, აგრეთვე აქ გავრცელებული ეკოსისტემების, ჰაბიტატებისა და სხვა დაკავშირებული სახეობების დაცვა, მოვლა-პატრონობა.

განსახილველი დაცული ტერიტორიების ფარგლებში შემავალი ბუნების ძეგლები (წალკის კანიონის, სამშვილდეს კანიონის და ბირთვისის) შეიქმნა „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონში 2013 და 2016 წლებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე. ბუნების ძეგლების შექმნის მიზანია აქ არსებული უნიკალური გეოლოგიური წარმონაქმნების, ჰიდროლოგიური ობიექტების, ისტორიული არტეფაქტებისა და ბიომრავალფეროვნების „წითელი ნუსხის" სახეობების დაცვა.

2020 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავრობის №672 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - ალგეთის ეროვნული პარკის, წალკის კანიონის ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს ალგეთის დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნებისა და მართვის შესაბამისი მიდგომების განსაზღვრა, ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის ძალაში ყოფნის პერიოდში, რაც 9 წელს შეადგენს.

ზემოაღნიშნულ ტექნიკურ რეგლამენტში ბოლო პერიოდში (2021 წლის ივლისი, 2022 წლის ივლისი) საქართველოს მთავრობის №340 და №385 დადგენილებებით შეტანილი იქნა მცირე ცვლილებები, რომლებიც დაცული ტერიტორიების საზღვრებში ტყის არამერქნული რესურსებით, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის საკითხს შეეხებოდა.

3.1.4 ლანდშაფტები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები გამოირჩევა ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი ტიპის ლანდშაფტები[1]:

- ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარ-მუხნარი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით (ლანდშაფტი 81);
- საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარი ტყეებით და ტყის შემდგომი მდელოებითა და მდელო-ბუჩქნარებით (ლანდშაფტი 88);
- მაღალი მთის დენუდაციური სუბალპური ლანდშაფტი მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით (ლანდშაფტი 138).

ასევე ალაგ-ალაგ გხვდება საშუალო მთის ლანდშაფტები როზიულ-დენუდაციური რელიეფით, წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), წიფლნარ-მუქწიწვიანი, რცხილნარი, ზოგან ფიჭვნარი ტყეებით. ამავე საზღვრებში და მომიჯნავედ წარმოდგენილია ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი არყის ტყეებითა და მაღალმთის მუხის ტყეებით. ასევე უნდა აღინიშნოს მაღალი ვულკანური პლატოს ლანდშაფტი.

[1] წყარო: მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი" (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი

3.1.5 ბიომრავალფეროვნება

3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი

ალგეთის ეროვნული პარკის და მისი მიმდებარე ბუნების ძეგლების მცენარეული საფარი მიეკუთვნება კავკასიის მცენარეულობის ზონირების აღმოსავლეთ კავკასიურ ტიპს. აქ, მთის ქვედა და შუა სარტყელში გავრცელებულია მუხნარი *(Quercus iberica)*, რცხილნარი *(Carpinus caucasica)*, წიფლნარი *(Fagus orientalis)* ცაცხვნარი *(Tilia begonifolia)*, ნეკერჩხლიანი *(Acer laetum) ტყეები.* ძირითადად ჩრდილოეთ ნაწილში გვხდება ტყეები წიწვოვანი სახეობების - ფიჭვი *(Pinus kochiana),* ნაძვი *(Picae orientalis),* კავკასიური სოჭი *(Abies nordmanniana* დომინირებით. მთის ზედა სარტყელი წარმოდგენილია წიწვიანი და შერეული ტყეებით.

ალგეთის ეროვნული პარკის ჩრდილოეთ ნაწილის მცენარეულობა გარკვეულწილად განსხვავდება მისი სამხრეთ ნაწილებისა და მიმდებარე ბუნების ძეგლების მცენარეულობისგან. წარმოდგენილია შერეული და ფოთლოვანი ტყე, კავკასიური სოჭით (*Abies nordmanniana*), ქართული ნეკერჩხალით (*Acer ibericum).* გვხვდება თელა (*Ulmus*) და სხვადასხვა ორქიდეები.

მდელოს ტიპის ჰაბიტატები ლოკალურად, ძირითადად მთისწინეთის ზონაში, დასახლებული პუნქტების მიმდებარედ არის გავრცელებული. შედარებით შესამჩნევია ანთროპოგენური ზემოქმედების (ძირითადად ძოვება) კვალი. ამ ტიპის ჰაბიტატების ედიფიკატორებია: მდელოს თივაქასრა *(Poa pratensis),* ბარსელა *(Brachypodium sylvaticum),* სესლერია *(Sesleria anatolica),* ქოთანა *(Silene dianthoides),* მინუარცია (*Minuartia woronowii)* და სხვა. ასევე წარმოდგენილია მარმუჭიანი *(Alchemilla)* და ძიგვიანი *(Nardus stricta)* მდელობი.

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებიდან უნდა აღინიშნოს მაღალმთის მუხა *(Quercus macranthera - VU)*, შავი ღვია *(Juniperus foetidissima – VU)*, ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum – VU),* ყამბრო *(Crataegus pontica – VU),* ასევე თელა *(Ulmus carpinifolia)* და ქაცვი *(Hippophae rhamnoides).* ენდემური და რელიქტური მცენარეების სახეობებიდან უნდა აღინიშნოს: წიფელი (Fagus orientalis), აღმოსავლური ნაძვი (Picea orientalis), სოჭი (Abies nordmanniana), ქართული ნეკერჩხალი (A. Ibericum), ქორაფი (A. Laetum) და სხვა.

3.1.5.2 ფაუნა

ალგეთის ეროვნულ პარკში გავრცელებულია ძუძუმწოვრების დაახლოებით 55 სახეობა. განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული სახეობებიდან უნდა აღინიშნოს მურა დათვი *(Ursus arctos),* რომელიც რეინჯერების გამოკითხვით ბოლო პერიოდში საკმაოდ მომრავლებულია. გამოკითხვით მოპოვებული ინფორმაციით ასევე გაზრდილია ევროპული შველის *(Capreolus capreolus)* პოპულაციები, რომელიც ეროვნული პარკის ფაუნის ქოლგა სახეობაა ჩლიქოსან ცხოველებს შორის. მომრავლებულია მგელი *(Canis lupus),* მელა *(Vulpes vulpes),* მაჩვი *(Meles meles)* და სხვა. ბოლო პერიოდში ფოცხვერის (*Lynx lynx*) და წავის *(Lutra lutra)* შეხვედრილობის მაჩვენებელი არ არის მაღალი. ხელფრთიანებიდან აღსანიშნავია ევროპული მაჩქათელას *(Barbastella barbastellus)* პოპულაციები.

საფონდო მასალების მიხედვით ალგეთის ეროვნულ პარკში და ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე შეიძლება შეგხვდეს 142 სახეობის ფრინველი, მათ შორის საქართველოს „წითელი ნუსხის“ 14 სახეობაა. 49 სახეობა მობინადრე ფრინველია (რომელიც ბუდობს საკვლევ ტერიტორიაზე და მუდმივად, ყველა სეზონზე იქ ბინადრობს). აღსანიშნავია ორბი *(Gyps fulvus)* და ფასკუნჯი *(Neophron percnopterus),* რომლებიც ბუდობისთვის ხშირად გამოიყენებს ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე კანიონებს. გარდა ამისა გავრცელებულია სვავი *(Aegypius monachus)*, რუხი წერო *(Grus grus)*, თვალშავი *(Falco vespertinus)* როგორც საფრთხეში მყოფი (EN) და სხვა 10 სახეობა როგორც მოწყვლადი (VU).

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოვლენილია ან ლანდშაფტური მახასიათებლებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ 19 სახეობის ქვეწარმავალი. მათ შორის აღსანიშნავია დალის ხვლიკი (*Darevskia dahli)* და ხმელთაშუაზღვის კუ *(Testudo graeca*), რომლებიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებია. ამფიბიებიდან 1 სახეობა (მცირეაზიური ტრიტონი *(Triturus vittatus)* შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხაში“ (NT).

დაცულ ტერიტორიებში გამდინარე ზედაპირული წყლის ობიექტები იქთიოფაუნის განსაკუთრებული რაოდენობრივი სიმრავლით არ გამოირჩევა. გავრცელებულია მურწა *(Barbus mursa),* ხრამულა *(varicorhinus),* ნაფოტა *(Rutilus),* ასევე კალმახი *(salmo fario).* აღრიცხულია უხერხემლო ცხოველების 1013 სახეობა.

3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებს ზურმუხტის ქსელის 3 ტერიტორია ფარავს, ესენია: ალგეთი (GE0000013), დაშბაშის კანიონი (GE0000036) და სამშვილდე (GE0000044). ბირთვისის ბუნების ძეგლის ტერიტორია ამჟამად ზურმუხტის ქსელის რომელიმე ტერიტორიის საზღვრებში არ არის მოქცეული.

ზურმუხტის ქსელის ტერიტორია „ალგეთი“:

სარეგისტრაციო კოდი: GE0000013;
ფართობი: 7124.73ა;
ბიოგეოგრაფიული რეგიონი: ალპური (100%);
ბოლო განახლების თარიღი: 11.2018;
აღნიშნული ტერიტორია მოიცავს ბერნის კონვენციით დაცულ 4 ჰაბიტატსა და 52 სახეობას.

ზურმუხტის ქსელის ტერიტორია „დაშბაშის კანიონი“:

სარეგისტრაციო კოდი: GE0000036;
ფართობი: 669 ჰა;
ბიოგეოგრაფიული რეგიონი: ალპური (100%);
ბოლო განახლების თარიღი: 02.2019;
აღნიშნული ტერიტორია მოიცავს ბერნის კონვენციით დაცულ 2 ჰაბიტატსა და 50 სახეობას.

ზურმუხტის ქსელის ტერიტორია „სამშვილდე“:

სარეგისტრაციო კოდი: GE0000044;
ფართობი: 475 ჰა;
ბიოგეოგრაფიული რეგიონი: ალპური (100%);
ბოლო განახლების თარიღი: 02.2019;
აღნიშნული ტერიტორია მოიცავს ბერნის კონვენციით დაცულ 5 ჰაბიტატსა და 37 სახეობას.

სულ, ზურმუხტის ქსელის განსახილველი ტერიტორიების ფარგლებში წარმოდგენილია რეზოლუცია #4-ის ჰაბიტატების 8 ტიპი („სტანდარტული მონაცემთა ფორმის“ მიხედვით). მათ შორის ფართო გავრცელება აქვს ტყის ტიპის ჰაბიტატებს: G1.A1, G1.6, G1.3, G3.17. მდელოს და ბუჩქოვანი ტიპის ჰაბიტატები (E3.4., E3.5. და F7.) ძირითადად გავრცელებულია დაცული ტერიტორიების განაპირა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე ზონებში. წყლის ობიექტების სიახლოვეს ძირითადად გავრცელებულია მდინარისპირა (D4.2.) და ბუჩქოვანი (F7) ჰაბიტატები.

„სტანდარტული მონაცემთა ფორმის“ მიხედვით ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ფარგლებში გავრცელებულია რეზოლუცია #6-ის შემდეგი მნიშვნელოვანი სახეობები: ძუძუმწოვრებიდან უნდა აღინიშნოს მურა დათვი (*Ursus arctos)*, წავი (*Lutra lutra),* ფოცხვერი *(Lynx lynx),* მგელი *(Canis lupus).* ფრინველებიდან გამოსარჩევია ისეთი მტაცებლები, როგორიცაა: არწივის (*Aquila)* რამდენიმე სახეობა. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ტყის მცირე ზომის ფრინველები. ამფიბიებიდან უნდა აღინიშნოს ტრიტონი (*Triturus karelinii).* იქთიოფაუნის წარმომადგენლებიდან გამოყოფილია შამაია *(Chalcalburnus chalcoides).*

3.1.6 კლიმატური პირობები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე დამახასიათებელია ნოტიოდან კონტინენტურისაკენ გარდამავალი კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ატმოსფერული ნალექები მაქსიმალურია გაზაფხულზე. დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ძლიერი ქარები, რომლებიც ძირითადად ზამთარსა და შემოდგომაზეა.

3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები

ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ზედაპირული წყლის ობიექტის ძირითად არტერიას წარმოადგენს მდ. ალგეთი. წალკის (დაშბაშის) და სამშვილდის კანიონების ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე გაედინება მდ. ქცია-ხრამი. ბირთვისის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე კი მიედინება მდინარე მოხვრინავის შენაკადი - თბილწყაროს წყალი. დაცულ ტერიტორიებზე არსებობს უამრავი პატარა ღელე და წყარო. კანიონებისთვის დამახასიათებელია უხვი რაოდენობის ჩანჩქერები, რაც ვიზიტორებისთვის ერთ-ერთ ატრაქციას წარმოადგენს. ზედაპირული წყლის ობიექტების კვების მთავარი წყაროებია თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლები.

3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე რელიეფი და გეოლოგიური აგებულება საკმაოდ არაერთგვაროვანია. ეროვნული პარკი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობებზე. აქ წარმოდგენილია მთაგორიანი და გორაკ-ბორცვიანი რელიეფი. ეროვნული პარკის ძირითად გეომორფოლოგიურ ღირებულებას მის ჩრდილოეთ ნაწილში, ვულკანოგენური ქანებით აგებული განედურად გადაჭიმული კლდოვანი კლდეკარის მასივი წარმოადგენს. იგი დერეფნის სახითაა ბუნებრივად გაჭრილი თრიალეთის ქედის თხემზე.

წალკის კანიონის და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლები წარმოადგენს მდ. ქცია-ხრამის მიერ ვულკანოგენურ ქანებში ჩაჭრილ კანიონისებურ ხეობებს. სამშვილდის კანიონისთვის დამახასიათებელია გაშიშვლებული კვარცპორფირიტული ქანები. ბირთვისის ბუნების ძეგლი ხასიათდება ძლიერ დანაწევრებული ზედაპირით, კლდოვანი უბნების კომპლექსით, წაწვეტებული, ვერტიკალურად აღმართული კლდოვანი სვეტებით. იგი დაღარულია ღრმა ხეობებით.

თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია ეროზიული პროცესები, მეწყრები და ღვარცოფები. ასეთი პროცესების გააქტიურება აღსანიშნავია გაზაფხულის და შემდგომის პერიოდში.

3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა

ე. გამყრელიძის (2000) გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიები მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთი ნაწილის საზღვრებში. MSK64 სკალის შესაბამისად ამ ზონის სეისმურობა 8 ბალს შეადგენს. ეროვნული პარკის როგორც აღმოსავლეთ (დაბა მანგლისის მიდამოები), ასევე დასავლეთ ნაწილში სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - A 0.14-ს შეადგენს. ბუნების ძეგლების სიახლოვეს ეს მაჩვენებელი იზრდება და დაახლოებით 0,15-0,17-ს შეადგენს.

3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა

ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების მთელი ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და და ძირითადად წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდს. დაცული ტერიტორიების სააგენტო, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მეშვეობით, პასუხისმგებელია მათ მართვაზე.

ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, როგორიცაა ადგილობრივი თემების უზუნველყოფა საშეშე მერქნის ლიმიტირებული რაოდენობით, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება, მათ შორის: კაკალი, კენკრა, სოკო და სხვა საკვები მცენარეების ნაყოფი, აგრეთვე ეროვნულ პარკში არსებული წყაროებიდან წყლის რესურსებით სარგებლობა. ჭრები მხოლოდ დაბალი ინტენსივობით, სპეციალურად გაყვანილი სამანქანე და სატრაქტორე გზების მიმდებარედ მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ალგეთის ეროვნული პარკი გარს აკრავს მეტწილად სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიებს. ეს ტერიტორიები გამოიყენება სათიბ-საძოვრად და ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი დასახლებული პუნქტების გარშემო: ნაპილნარი, ნამტვრიანი, ჭინჭრიანი და სხვა. საქონლის ძოვება და თივის მოპოვება ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები ბევრი ოჯახისათვის საარსებო წყაროა. ასეთ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის შედეგად (ტერიტორიების სათიბ-საძოვრად გამოყენება, ტყის რესურსების გამოყენება და სხვა) დაცული ტერიტორიის ზოგიერთი უბნის საზღვრებში შეჭრილია მეორადი მცენარეულობა და ბუნებრივი ბიოლოგიული კომპონენტები ნაწილობრივ სახეცვლილია.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილი არ არის იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთები ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. ამ მხრივ აღსანიშნავია წალკის კანიონზე არსებული მსხვილი ტურისტული კომპლექსი (ხიდი, სასტუმრო და კვების ინფრასტრუქტურა და სხვა), რომელიც ისრაელის კომპანიის „Kass Land“-ის მართვის ქვეშ იმყოფება.

3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა და და ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს დაბა მანგლისში, კურორტის ქუჩა №4-ში. ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი კეთილმოწყობილია 2019 წლიდან. აქ წარმოდგენილია საინფორმაციო სივრცე, თოკების პარკი. ვიზიტორებს სხვადასხვა სერვისების მიღების შესაძლებლობა აქვთ, მათ შორის გიდის და ცხენების დაქირავება. ვიზიტორთა ცენტრი ღიაა წელიწადის ნებისმიერ დროს. თუმცა სხვადასხვა სერვისების მიღება შეიძლება შეიზღუდოს ზამთარის უამინდობის განმავლობაში.

ადმინისტრაციას გააჩნია შესაბამისი საველე აღჭურვილობა და ინვენტარი, მათ შორის მაღალი გამავლობის ავტომობილები, კარვები, ციფრული ფოტოაპარატები, ჭოგრიტები და სხვა. თუმცა ადმინისტრაციის მოწოდებული ინფორმაციით სასურველია ავტომობილების რაოდენობის გაზრდა და რეინჯერების გარკვეული აღჭურვილობის (უნიფორმა, სამაშველო აღჭურვილობა, სხვადასხვა საველე ხელსაწყოები) განახლება.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ეკოტურისტული ბილიკები ძირითადად დაკავშირებულია დაბა მანგლისთან და ეროვნული პარკის სამხრეთ, შუა და ჩრდილოეთ დერეფნებით მიემართება მისი დასავლეთ ნაწილისკენ. თუმცა ბილიკები ასევე კარგად დაკავშირებულია ეროვნული პარკის დასავლეთით, წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩოლიანთან. დღეისათვის მუშავდება პროექტი აღნიშნული ბილიკების განახლება-კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. ძირითადი ბილიკებია:

1. **დაბა მანგლისი-სოფ. ჩოლიანის ტურისტული ბილიკი**

ეს ბილიკი შეიძლება ითქვას ყველაზე გრძელია და შესაძლებელია მის ფარგლებში სხვადასხვა ალტერნატიული მარშრუტების შეთავაზება. იწყება დაბა მანგლისიდან და მიდის ალგეთის ხეობამდე, მდ. ალგეთისა და მისი მარცხენა შენაკადის - მართალხევის შესართავთან. აქ მოწყობილია საკარვე და საპიკნიკე ადგილები. ამის შემდგომ შესაძლებელია სამი ალტერნატიული მარშრუტის შეთავაზება:

- ალტერნატივა 1 - ჩრდილოეთით, მართალხევის ხეობის ჯერ დაბალი ნიშნულების გავლით, ხოლო შემდგომ ფერდობზე სოფ. ნამტვრიანამდე. შემდგომ მარშრუტი გრძელდება სოფ. ჭინჭრიანის მიმართულებით და მე-3 ალტერნატივას უერთდება სოფ. ნაპილნართან;
- ალტერნატივა 2 - ჩრდილოეთით, მართალხევის ხეობის მარჯვენა წყალგამყოფი ქედის თხემზე სოფ. ნამტვრიანამდე. შემდგომ მარშრუტი გრძელდება სოფ. ჭინჭრიანის მიმართულებით და მე-3 ალტერნატივას უერთდება სოფ. ნაპილნართან;
- ალტერნატივა 3 - დასავლეთით, ალგეთის ხეობის გავლით სოფ. ნაპილნარამდე.

სოფ. ნაპილნარის შემდგომ სოფ. უგუდეთამდე ასევე ორი ალტერნატიული მარშრუტი არსებობს - ჩრდილოეთის და სამხრეთის მარშრუტი. სოფ. უგუდეთის შემდგომ მარშრუტი, ნაწილობრივ ეროვნული პარკის და ნაწილობრივ საძოვრების გავლით გრძელდება სოფ. ჩოლიანის მიმართულებით.

აღნიშნულ ბილიკზე შესაძლებელია სხვადასხვა სირთულის და ხანგრძლივობის სალაშქრო ტურების შეთავაზება. ასე მაგალითად: ჩრდილოეთის მარშრუტები შედარებით რთულია. თუმცა აქ შესაძლებელია წრიული სალაშქრო ბოლიკის შეთავაზება, ნაკლები ხანგრძლივობით (1 დღე) და დაბრუნება დაბა მანგლისში ან გაგრძელება დასავლეთით, რომელიც 2-3 დღიან ტურს მოიცავს. ალგეთის ხეობის გავლით მარშრუტი შედარებით ნაკლები სირთულისაა. სოფ. ნაპილნარიდან შესაძლებელია ტურის როგორც სოფ. ჩოლიანის მიმართულებით გაგრძელება, ასევე ჩრდილოეთიდან ზემო ჭინჭრიანის გავლით დაბრუნება დაბა მანგლისში. ამ შემთხვევაშიც შემოთავაზებული ტურის ხანგრძლივობა 2-3 დღიანია. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო ტურების შეთავზება.

2. **სოფ.ნამტვრიანი-კლდეკარის ციხე-სოფ. ჩოლიანის ტურისტული ბილიკი (ზედა გადასასვლელი ბილიკი)**

ბილიკი იწყება სოფ. ნამტვრიანში, ზღვის დონიდან 1435 მეტრზე, მიუყვება სამანქანო გზას და ადის ჩრდილო-დასავლეთით თრიალეთის ქედზე, საიდანაც უხვევს დასავლეთით და მიუყვება თრიალეთის ქედის თხემს კლდეკარის ციხემდე, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 2000 მეტრზე.

აღსანიშნავია, რომ კლდეკარის ციხემდე მისვლამდე შესაძლებელია სამი მიმართულებით გადაადგილება, სოფ. რკონის მიმართულებით (ჩრდილოეთით, ეროვნული პარკის საზღვრებს

გარეთ), სოფ. ჭინჭრიანის მიმართულებით (სამხრეთით) ან კლდეკარის მიმართულებით (დასავლეთით).

კლდეკარის ციხიდან მარშრუტი ეშვება სამხრეთით და სრულდება სოფ ჩოლიანში, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1770 მეტრზე. მარშრუტზე გვხვდება შუა საუკუნეების კლდეკარის ციხის ნაშთები, კლდეში გაჭრილი გასასვლელები (კლდეკარი), ფართოფოთლოვანი ტყის ბილიკები და პანორამული გადასახედები, საიდანაც იშლება ხედები როგორც სამხრეთით, ალგეთის ხეობასა და ქვემო ქართლის ნაწილზე, ასევე ჩრდილოეთით, შიდა ქართლსა და კავკასიონის მთავარ ქედზე.

ეს მარშრუტი საკმაოდ რთულია და გათვალისწინებულია საფეხმავლო სალაშქრო, 3-4 დღიანი ტურები.

3. დაბა მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი

მარშრუტი იწყება დაბა მაგლისში, ზღვის დონიდან 1280 მეტრზე, მიუყვება გრუნტის სამანქანე გზას დასავლეთით, ხელოვნურ ფიჭვნარში. 1 კილომეტრის გავლის შემდეგ მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით და მიუყვება გზას თხინვალას ტურისტულ თავშესაფრამდე, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარეობს. ტურისტული თავშესაფრის შემდეგ მარშრუტი გრძელდება ტყის ბილიკზე, რომელიც მიემართება ჩრდილოეთით, ორი კილომეტრის შემდეგ უხვევს სამხრეთ-დასავლეთით და ეშვება სოფ. თხინვალამდე. სოფ. თხინვალას შემდეგ მარშრუტი გრძელდება გრუნტის სამანქანე გზაზე დასავლეთით 1 კილონეტრის მანძილზე, შემდეგ მკვეთრად უხვევს სამხრეთით და გრძელდება მდ. ალგეთის ხეობამდე, სადაც უერთდება ალგეთის ტურისტული ბილიკების უკვე არსებულ ქსელს ზღვის დონიდან 1140 მეტრზე.

მარშრუტი საშუალო სირთულისაა. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო, 1-2 დღიანი ტურების მოწყობა.

შემოთავაზებულია ტურისტული მარშრუტის კიდევ უფრო გაგრძელება ჩრდილოეთით, აქ განხილული ალტერნატიული ეკოტურისტული ლოკაციების მიმართულებით (საკითხზე დამატებითი აღწერა მოცემულია ქვემოთ, დოკუმენტის ძირითად ნაწილში).

4. დაბა მანგლისი-ჯვრისხევი-მამიდას ქვა (მამიდას ქვის ბილიკი)

აღნიშნული მარშრუტი იწყება დაბა მანგლისში, მაგლისის სიონის ეკლესიიდან, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1200 მეტრზე, მიუყვება გრუნტის სამანქანო გზას სამხრეთ-დასავლეთით ბურატინოს ტბამდე და გრძელდება სოფ. პოლიანამდე. პოლიანადან მარშრუტი მიუყვება ტყის ბილის დასავლეთით, მ. შუბლას სამხრეთ ფერდობზე, მკვეთრად უხვევს სამხრეთით და აუყვება ფედროობს მამიდას ქვამდე, სადაც არის წარმართული და გვიანქრისტიანული სალოცავები, ასევე იშლება პანორამული ხედები ალგეთის ხეობასა და დაბა მანგლისზე.

მამიდას ქვიდან ბილიკი გრძელდება აღმოსავლეთით, 3 კილომეტრის მანძილზე ტყით დაფარული ფერდობით ეშვება გზაგასაყარამდე. გზაგასაყრიდან სამხრეთით, 500 მეტრში არის გამოსასვლელი ეროვნული პარკიდან თბილისი-წალკა-ახალქალაქის მაგისტრალზე. გზაგასაყარიდან ჩრდილოეთით, 2.5 კილომეტრში მარშრუტი ბრუნდება სოფ. პოლიანაში და ქმნის მამიდას ქვის წრიულ ბილიკს.

მარშრუტი არ არის რთული. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო, 1-2 დღიანი ტურების მოწყობა.

5. მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანის ტურისტული ბილიკი

ეს წრფივი ტურისტული ბილიკი ალგეთის ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ, მისგან სამხრეთით გადის. მარშრუტი ძირითადად გადის მდელოს ტიპის, გორაკ-ბორცვიან ლანდშაფტში. ესაზღვრება ალგეთის ეროვნული პარკის ტყიანი ტერიტორიები. მარშრუტი

საშუალო სირთულისაა. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო, 1-2 დღიანი ტურების მოწყობა.

ალგეთის ეროვნული პარკის ტურისტული ბილიკების სქემა მოცემულია ნახაზზე 3.1.11.1.


სამშვილდეს კანიონის ბუნების ძეგლის ბილიკი

სამშვილდეს ბუნების ძეგლის ფარგლებში გადის ერთი ძირითადი ბილიკი. მარშრუტი იწყება სოფ. სამშვილდედან და მიემართება მდ. ხრამის ხეობისკენ, გაივლის სამშვილდეს ციხე-ქლაქს. მდ. ხრამის კალაპოტის გასწვრივ შესაძლებელია ტურის გაგრძელება როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. აღმოსავლეთით შესაძლებელია მდ. ხრამის მარცხენა შენაკადთან არსებულ ჩანჩქერზე მისვლა. დასავლეთით მარშრუტი მიუყვება მდ. ხრამის მარცხენა სანაპიროს. შემდგომ ადის მაღალ ნიშნულებზე და ბრუნდება სოფ. სამშვილდეს მიმართულებით. ბილიკის მთავარი ღირშესანიშნაობებია ლამაზი ხედები და ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო, აესევე ისტორიულ-კულტურული ობიექტები. შესაძლებელია საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა.

სამშვილდეს კანიონის ბუნების ძეგლის ტურისტული ბილიკის სქემა მოცემულია ნახაზზე 3.1.11.2.


დაგეგმილია ბილიკების განახლება და კეთილმოწყობა. აღნიშნულ სამუშაოებში იგულისხმება ბილიკების გაწმენდა, საჭირო მონაკვეთებში მიწის სამუშაოები მათი აღდგენის მიზნით. შესაბამის ადგილებში მოეწყობა შესაბამისი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საპირფარეშოები, საცეცხლურები, ძელსკამები და სხვა.

ნახაზი 3.1.11.1. ალგეთის ეროვნული პარკის ტურისტული ბილიკების სქემა



წყარო: ა(ა)იპ "სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაცია"

ნახაზი 3.1.11.1. სამშვილდეს კანიონის ტურისტული ბილიკის სქემა



წყარო: ა(ა)იპ "სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაცია"

3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი

ალგეთის ეროვნული პარკის სიახლოვეს გამავალ მთავარ საგზაო არტერიას წარმოადგენს შიდასახელმწიფოებირივი მნიშვნელობის თბილისი–კოჯორი–წალკა–ნინოწმინდის საავტომობილო გზა (შ-31), რომელიც სამხრეთით გადის და ზოგიერთ მონაკვეთში უახლოვდება ეროვნული პარკის საზღვარს. აღნშნული საავტომობილო გზა გადის ასევე წალკის კანიონის და ბირთვისის ბუნების ძეგლების სიახლოვეს. სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლთან დაკავშირება კი შესაძლებელია მარნეული–თეთრიწყარო–წალკის (შ-33) შიდასახელმწიფოებირივი მნიშვნელობის საავტომობილო გზიდან, რომელიც ჩრდილოეთით დაახლოებით 6 კმ მანძილის დაშორებით გადის.

საკუთრივ ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების ფარგლებში საავტომობილო ინფრასტრუქტურა ნაკლებად განვითარებულია. ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების მომიჯნავე სოფლებთან მისასვლელი გრუნტის გზების მდგომარეობა არასახარბიელოა. ზოგიერთ მონაკვეთზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილებით. გზების მდგომარეობა უარესდება ზამთრის და ძლიერი წვიმების დროს. საგზაო ინფრასტრუქტურის გამართულობის მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობა უნდა აღინიშნოს წალკის კანიონის ბუნების ძეგლის ფარგლებში, რაც ამ არეალში ბოლო წლებში განხორციელებულ მსხვილ ტურისტულ კომპლექსს უკავშირდება.

პრობლემები გამოკვეთილია სხვა სახის კომუნიკაციების განვითარების მხრივაც. მიმდებარე, მეტწილად ალგეთის ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში არსებული სოფლების უმეტესობაში აღინიშნება ცუდი წყალმომარაგება, გაზიფიკაციის, წყალარინების და ნარჩენების მართვის არარსებობა. მოძველებული ელექტროგადამცემი ხაზების გამო ხშირია ელექტრომომარაგების შეფერხება.

უშუალოდ შერჩეულ ლოკაციებზე და მის მიმდებარედ არსებული კომუნიკაციების შესახებ ინფორმაცია, დეტალურად მოცემულია პარგარაფ 4.1.-ში.

3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები

ალგეთის ეროვნული პარკის საზღვრებში შემავალი ტერიტორიები გარს აკრავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს. მთავარი დასახლებული პუნქტია დაბა მანგლისი, რომელიც ეროვნული პარკის აღმოსავლეთით მდებარეობს. დასახლებული პუნქტები ასევე წარმოდგენილია ბუნებრის ძეგლების მომიჯნავედ, რომლებიც წალკის და თეთრისწყაროს მუნიციპალიტეტებში შედიან.

ცხრილში 3.1.13.1. წარმოდგენილია ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლების ჩამონათვალი და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით.

ცხრილში 3.1.13.1. დასახლებული პუნქტები და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნება

სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	
	2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით	2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით
თეთრისწყაროს მუნიციპალიტეტი:		
დ. მანგლისი	2752	1441
სამშვილდე	517	443
ნამტვრიანი	210	16
ტბისი	91	60
შეხვეტილა	36	19
ჭინჭრიანი	39	17
არხოტი	20	16

აბრამეთი	19	6
კოდისწყარო	15	8
ნაპილნარი	-	57
წალკის მუნიციპალიტეტი:		
ქ. წალკა	1741	2326
დაშბაში	367	295
ხარება	303	-
ჩოლიანი	295	64
ლივადი	134	-

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს უარყოფითი დემოგრაფიული სტატისტიკა თვალშისაცემია თითქმის ყველა მომიჯნავე დასახლებულ პუნქტში. ამის მთავარი მიზეზია სამუშაო ადგილების სიმცირე და მოსახლეობის მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი.

3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა

3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები

ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტურიზმის არსებული მიმართულებები დაკავშირებულია მთისა და ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობასთან, რაც სხვადასხვა ინტერესის მქონე ვიზიტორებს იზიდავს. ეროვნული პარკის მარშრუტები ერთ და რამდენიმედღიანი მოგზაურობის, საკარვე და საპიკნიკე ადგილებით სარგებლობის საშუალებას იძლევა. ვიზიტორთა ჯგუფებს უმეტესად წარმოადგენენ სასკოლო ექსკურსიები და რელიგიური ტურიზმით დაკავებული ვიზიტორები (პილიგრიმები). მცირე მიზნობრივ ჯგუფებს განეკუთვნებიან ინდივიდუალურად მოლაშქრე და სამთო ველოსიპედებით მოგზაური ვიზიტორები. ასევე შესაძლებელია ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია, საგანმანათლებლო და კულტურული ტურების მოწყობა.

ბოლო წლების განმავლობაში, წალკის კანიონის ბუნების ძეგლი მაღალ მონახულებად და დინამიურ ტურისტულ მიმართულებად იქცა. ამის მთავარი მიზეზია მსხვილი ინვესტიციები თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

ბირთვისი ფართო პოპულარობით სარგებლობს ფეხით მოლაშქრეება და მოსწავლე-ახალგარზდების ჯგუფებს შორის. ასევე, ამ ადგილს ხშირად საპიკნიკედ ჩასული ვიზიტორებიც სტუმრობენ. კანიონში ხშირად ტარდება სასკოლო და სტუდენტური ექსკურსიები.

სამშვილდის კანიონის სანახავად მოსული ვიზიტორების რიცხვი ბოლო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაზრდილია. ტერიტორია წარმოადგენს პოპულარულ საექსკურსიო მიმართულებას ადგილობრივ მოსახლეობაში (საპიკნიკედ მისული ექსკურსანტები, სასკოლო ექსკურსიები); ასევე, რამდენიმე მსხვილი ტუროპერატორი კომპანია ახორციელებს ტურებს უცხოელი ვიზიტორთა ჯგუფებისათვის.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია თვალშისაცემი იყო 2017-2019 წლებში. თუ 2017 წელს დაცულ ტერიტორიებს 28020 ვიზიტორი ეწვია, 2019 წელს ეს მაჩვენებელი თიტქმის 35%-ით გაიზარდა და 37758 ადამიანი შეადგინა. პანდემიის პერიოდში ტურისტული სტატისტიკა მნიშვნელოვნად შემცირდა, განსაკუთრებით ეს შეეხო უცხოელ ვიზიტორებს. თუმცა 2021-2022 წლის სტატისტიკა კვლავ მზარდია. 2022 წელს ვიზიტორების რაოდენობა 25586 ადამიანი შეადგინა და მიუახლოვდა 2017 წლის მონაცემს. მოსალოდნელია, რომ 2023 წელს ვიზიტორების რაოდნეობა პანდემიამდელ მაჩვენებელს გაუტოლდება.

როგორც აღინიშნა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში იღებს ვიზიტორებს. თუმცა ვიზიტორთა უმეტესობა დაცულ ტერიტორიებს აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში სტუმრობს. ყველაზე ცოტა ტურისტი ზამთრის თვეებში (დეკემბერი-თემერვალი) ფიქსირდება. აქვე აღსანიშნავია, რომ სეზონურ ჭრილში დისბალანსი უფრო აღსანიშნავია ადგილობრივი ვიზიტორების შემთხვევაში. უცხოეული ვიზიტორებისთვის კი დაცული ტერიტორიების სტუმრობა ზამთრის თვეებშიც საინტერესოა.

3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები

ზოგადად ქვემო ქართლის ტერიტორია არქეოლოგიური თუ ხუროთმოძღვრული ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა. არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი წარმოდგენილია როგორც განსახილველი დაცული ტერიტორიის საზღვრებში, ასევე მის მომიჯნავედ - მდინარეების ალგეთის და ქცია-ხრამის ხეობებში.

ამ არეალში ისტორიულად გადიოდა შიდა და ქვემო ქართლის, თრიალეთ-ჯავახეთის და კახეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. სწორედ ამ გზების სადარაჯოდ იყო აღმართული ალგეთის ცნობილი ციხე-სიმაგრეები: ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი, კლდეკარი.

დაბა მანგლისის სიახლოვეს მდებარეობს ე.წ. „არსენას გამოქვაბული“. ლეგენდის მიხედვით აღნიშნული ძეგლი წარმოადგენდა სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის ერთ-ერთ თავშესაფარს. აღსანიშნავია, რომ ალგეთის ეროვნული პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან მდებარეობს ისტორიული დიდგორის ველი.

სოფ. არხოტის სიახლოვეს წარმოდგენილია რამდენიმე სალოცავი (წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, წმინდა მარიამის სახელობის ეკლესია, ოსური სალოცავი – კულსვადონი. აქვეა ლოდებისგან აგებული ნასახლარი. რამდენიმე ეკლესიაა წარმოდგენილი სოფ. ტბისის მიმდებარედ.

აღმოჩენილია უამრავი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთაგან ყველაზე ადრინდელები ენეოლითის და ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. შემორჩენილია ბრინჯაოს ხანის ციკლოპური ციხეები და ეკლესია-ნანგრევები.

ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიმრავლიდან გამომდინარე ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივები არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ შედარებით მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები წამოდგენილია არსებული და პერსპექტიურლი ეკოტურისტული მარშრუტების სიახლოვეს და ამასთანავე ხელსაყრელია განლაგება საავტომობილო გზებთან მიმართებაში. შესაძლებელია შეთავაზებული იქნეს არსებული ისტორიული ობიექტების მონახულება და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მიღება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ისტორიულ-საგანმანათლებლო ტურების მოწყობის პერსპექტივა, მათ შორის ციხე-ქალაქებში, დიდგორის ველზე და ა.შ. შესაძლებელია ასეთი ობიექტების სიახლოვეს საგამოფენო სივრცეების გამოყოფა.

კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის რეკომენდირებულია:

- მჭიდრო თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს საპატრიარქოსთან, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტების რესტავრაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიახლოვეს ინფრასტრუქტურის (მათ შორის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის) განვითარების ხელშეწყობა (გზები, ბილიკები, მობილური კავშირგაბმულობის ანძები, ბილიკებზე საინფორმაციო დაფები და ა.შ.). ამ თვალსაზრისით მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მობილური ქსელის ოპერატორებთან და სხვა;
- საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის, ასევე ვანდალიზმის პრევენციის მიზნით. შესაბამისი საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება და ვიზიტორთა ცენტრებში განთავსება;
- კულტურული ან რელიგიური ფესტივალების ორგანიზება. ფესტივალების ფარგლებში ვიზიტორთა ცენტრებში, სხვა არსებულ თუ პერსპექტიულ ტურისტულ ლოკაციებზე ან ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს ეკომუზეუმების მოწყობა. ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ადაპტირება ეკოტურიზმის სერვისებზე - მაგალითად ფესტივალების ფარგლებში ხელნაკეთი რელიგიური და საეკლესიო ნივთებისთვის გამოფენა-გაყიდვისთვის შესაბამისი სივრცეების მოწყობა და ა.შ;

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს საპატრიარქო;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც პერსპექტიული ტურისტული მომსახურების მომწოდებლები;
- ვიზიტორები (მათ შორის მომლოცველები, მეცნიერები და ა.შ.).

3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები

ეროვნული პარკის მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ადგილებიდან აღსანიშნავია დაბა მანგლისი. მანგლისი ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატური კურორტია. სამკურნალო ფაქტორია მთის ჰავა და ცნობილია სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ. ძირითადად ადგილობრივი (მათ შორის თბილისიდან ჩასული) ვიზიტორებისთვის საკმაოდ ცნობილი რეკრეაციული ადგილია მანგლისის ცენტრალური პარკი.

ალგეთის ეროვნული პარკი ტურისტული ობიექტების (დიდი ზომის სასტუმროები, კვების ობიექტები, მუზეუმები და სხვა) სიმრავლით არ გამოირჩევა. ძირითადად განვითარებულია მცირე ზომის, საოჯახო ტიპის სასტუმროები, რომლებიც კონცენტრირებულია დაბა მანგლისში. შედარებით მსხვილი სასტუმროებიდან აღსანიშნავია „სასტუმრო მანგლისში“ და „გივი ჩოხელი“. სოფ. ნამტვრიანაში წარმოდგენილია საოჯახო ტიპის სასტუმრო „დიდი ნამტვრიანა“, რომელიც ძირითადად სეზონურად ფუნქციონირებს.


თბილისას ტურისტული თავშესაფარი

მსხვილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მხრივ გამოსარჩევია წალკის კანიონი, სადაც უცხოური ინვესტიციებით მოხდა შუშის ხიდის, სასტუმროს და სხვა სერვისების განვითარება. პროექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა ალგეთის დაცული ტერიტორიების ცნობადობა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორებში.

ალგეთის ეროვნული პარკის ორ ლოკაციაზე (ზემო ჭინჭრიანის და თხინვალას მიმდებარედ) მოწყობილია ტურისტული თავშესაფრები (კოტეჯები). თუმცა ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით მათი ფუნქციური დატვირთვა დაბალია და მოწყობის დღიდან ვიზიტორებს თითქმის არ უსარგებლიათ ღამის გათევის სერვისით. ეს ობიექტები საჭიროებს მოწესრიგებას. ასევე საჭიროა ამ ობიექტების პოპულარიზაცია, რომ ამ სერვისმა სათანადოდ შეასრულოს თავისი თავდაპირველი დანიშნულება.


ჭინჭრიანის ტურისტული თავშესაფარი

ალგეთის ეროვნული პარკის საზღვართან ასევე აღსანიშნავია კერძო მფლობელობაში არსებული ხელვნური ტბა - ე.წ. „ბურატინოს ტბა“ აქ შესაძლებელია ნავით გასეირნება, სამოყვარული თევზჭერა და სხვა სერვისების მიღება.

სხვადასხვა ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები განვითარებულია დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ.. ადგილობრივი ბიზნესი, როგორიცაა სასტუმროები, რესტორნები და სხვა, საკმაოდ მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ დაცულ ტერიტორიებთან მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და კომერციული ურთიერთობის შედეგად მიღებული გაყიდვებით.

დაცული ტერიტორიების კონსერვაციული მიზნების მიღწევისთვის საჭირო ხარჯების მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მიმართავს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის სტრატეგიას, რაც ორმხრივი სარგებლის მომტანია. მათ შორის ხდება კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების განვითარება დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ლიცენზიის ან შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე. მსგავსი მიდგომა საშუალებას აძლევს კერძო კომპანიებს განახორციელონ კომერციული ოპერაციები დაცულ ტერიტორიაზე, ხოლო დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციამ მიიღოს პირდაპირი ფინანსური სარგებელი ბიზნესიდან.

შემოთავაზებულია, რომ ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების შემდგომი განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა. თუმცა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კავშირი კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შემოსავალსა და დაცული ტერიტორიის კონსერვაციას შორის იყოს ძალიან მჭიდრო. აღსანიშნავია, რომ სათანადო დაგეგმარების და მენეჯმენტის პირობებში მსგავსი საიჯარო ხელშეკრულებები ხელს უწყობს კერძო სექტორის მოთხოვნების დაბალანსებას დაცულ ტერიტორიებზე განვითარებისთვის და შეზღუდული რაოდენობის კონტროლირებად ბიზნეს-საქმიანობას.

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების განვითარება შესაძლებელია როგორც ვიზიტორებისთვის ტრადიციულ და პოპულარულ ლოკაციებზე (ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილი, დაბა მანგლისის მიმდებარედ), ასევე დასავლეთ პერიფერიულ ადგილებში, რომელთა ცნობადობა დაბალია, თუმცა ეროვნულ პარკში არსებული და დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მაგ. ტურისტული ბილიკების ქსელი) სასარგებლო განლაგებაში იმყოფებიან მათთან. ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შესახებ შემოთავაზებები აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილში (პარაგრაფი 4).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კერძო ბიზნესი;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა;
- ვიზიტორები.

3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები

განსახილველი დაცული ტერიტორიების, განსაკუთრებით კი ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების შემოსავლები გარკვეულწილად უკავშირდება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას.

როგორც აღინიშნა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. მათ შორის ხდება ადგილობრივი თემების უზუნველყოფა საშეშე მერქნით. ადგილობრივი მოსახლეობა ასევე სარგებლობს სხვადასხვა არამერქნული რესურსით, მათ შორის ხდება ტყის კენკროვანი სახეობების, სოკოს და სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების მოპოვება. ჩამოთვლილი რესურსებით სარგებლობის პრაქტიკა განსაკუთრებით დამკვიდრებულია დაბა მანგლისის ფარგლებში. ბუნების ძეგლების ფარგლებში როგორც მერქნული, ასევე არამერქნული რესურსების მოპოვების ინტენსივობა გაცილებით ნაკლებია.

როგორც აღინიშნა, ეროვნული პარკის ცენტრალური ნაწილის მიმდებარედ არსებულ დასახლებულ პუნქტებში (ნამტვრიანი, ნაპილნარი და სხვა) მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. მათ შორის განსაკუთრებით განვითარებულია მესაქონლეობა (როგორც მსხვილფეხა-ასევე წვრილფეხა საქონელი). ზოგიერთ სოფელში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მეფუტკრეობას. ასეთი საქმიანობების ფარგლებში მეტ-ნაკლებად ხდება დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. თუმცა სათიბ-საძოვრად გამოყენებულია მდელოები, რომლებიც დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ მდებარეობს და წარმოდგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. შესაბამისად ამ მხრივ უშუალოდ დაცული ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული ბუნებრივი რესურსების გამოყენება ნაკლებად ხდება.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წყლის რესურსებს. მიმდებარე დასახლებები (დაბა მანგლისი, სოფლები: ნამტვრიანი, ნაპილნარი, არხოტი, ჭინჭრიანი, თხინვალა, შეხვეტილა, ჯვრისხევი და სხვა) წყალმომარაგების წყაროდ იყენებს მდინარე ალგეთს და მის შენაკადებს. წყლის მნიშვნელოვან რესურს ასევე წარმოადგენს მდ. ქცია-ხრამი, რომელიც ბუნების ძეგლების საზღვრებში გაედინება. თუმცა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაცული ტერიტორიების საზღვრებში წყლის რესურსებით სარგებლობა მკაცრად რეგულირდება.

ასევე შეიძლება აღინიშნოს დაბა მანგლისში სხვადასხვა საკვები პროდუქტების (მაგ. გირჩის მურაბა, ნაძვის კევი, ფიჭვის მტვერი და სხვა) დამზადების ტრადიცია. ასეთი პროდუქტების ძირითად მომხმარებლებს დამსვენებლები და ვიზიტორები წარმოადგენენ.

ტრადიციული საქმიანობების პოპულარიზაციისა და ამავე დროს ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალის ზრდისთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და მოსახლეობის დატრენინგება. შესაძლებელია ზოგიერთი ტრადიციული საქმიანობის ეკოტურისტული სერვისის სახით

ვიზიტორებისთვის შეთავაზება (ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, ტურების დაგეგმვა ტყის არამერქნული რესურსების შეგროვების მიზნით და ა.შ.).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი ბიზნესი;
- ადგილობრივი მოსახლეობა და ფერმერები;
- ვიზიტორები.

3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები თავისი განლაგებით და უნიკალური ბუნებრივ-ლანდშაფტური კომპონენტების წყალობით ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელოვან მომწოდებელს წარმოადგენს. აქ იგულისხმება მოსახლეობისთვის ეკოსისტემის როგორც პირდაპირი პროდუქტების (მაგ. საკვები, შეშა, არამერქნული ტყის პროდუქტები, წყალი და სხვა) მიწოდება, ასევე მარეგულირებელი, კულტურული და სხვა დამხმარე სერვისების შეთავაზება.

ეკოსისტემური სერვისების მიწოდების ყველაზე მაღალი რესურსი ალგეთის ეროვნულ პარკს გააჩნია. აქ, საკმაოდ დიდ ფართობზე წარმოდგენილი ტყის მასივები ეროზიისა და წყალდიდობის კონტროლს უზრუნველყოფს, ხდება კლიმატური და მიკროკლიმატური პირობების რეგულირება, წყლის ბუნებრივი გაწმენდა და ა.შ. როგორც აღინიშნა ეროვნული პარკი გარს აკრავს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობის სათიბ-საძოვრებს, დასახლებული პუნქტების სიახლოვეს ერთ-ერთ წამყვან დარგს ასევე წარმოადგენს მეფუტკრეობა. გარშემორტყმული ტყიანი ტერიტორიები გარეშე ანთროპოგენური ზემოქმედების მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს, რაც მაღალი ეკოლოგიური ღირებულების საკვები პროდუქტების მიღების საშუალებას იძლევა.

ალგეთის ეროვნული პარკის, დაშბაშისა და სამშვილდის კანიონების ბუნების ძეგლების ეკოსისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია წყლის რესურსები. აღსანიშნავია მდინარეები ალგეთი და ქცია-ხრამი, რომელთა ჩამონადენის დიდი ნაწილი სწორედ დაცული ტერიტორიების საზღვრებში ფორმირდება. წყლის რესურსების სიუხვე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო ახლომდებარე დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების მაღალ პოტენციალს ქმნის. მდ. ალგეთი წარმოადგენს რეგიონში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკნარი წყლის რეზერვის (ალგეთის წყალსაცავი) უმთავრეს წყაროს.

ეკოსისტემური სერვისების განვითარების პერსპექტივების მიმოხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ალგეთის ეროვნული პარკის საზღვრებში განიხილება კეთილშობილი ირემის *(Cervus elaphus)* საშენის მოწყობა. ეროვნულ პარკში მომრავლებული ირმის ინტროდუცირება იგეგმება საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებში. ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის ალგეთის ეროვნული პარკის როლს ბიომრავალფეროვნების მაღალღირებული კომპონენტების აღწარმოების პროცესში, არამარტო რეგიონალური, არამედ ეროვნული მასშტაბითაც.

კლიმატურ-ლანდშაფტური თავისებურებები, ბიომრავალფეროვნების მაღალი ღირებულების კომპონენტები, ასევე ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიმრავლე არამატერიალური (მათ შორის კულტურული, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი სფერო) მომსახურების მიწოდების შესაძლებლობასაც ქმნის. მათ შორის გამოკვეთილია შემდეგი სფეროების განვითარების პერსპექტივები:

- ეროვნული პარკი და ბუნების ძეგლები შესაძლებელია გახდეს სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო ნაშრომების საკვლევი ბაზა (მათ შორის ზოოლოგიური, ბოტანიკური, გეოლოგიური და სხვა მიმართულებით);
- განსახილველი დაცული ტერიტოროები, აქ არსებული ეკოსისტემების მრავალფეროვნების და ისტორიულ-კულტურული თავისებურებების შერწყმით არამარტო ადგილობრივ, არამედ ეროვნულ და გლობალურ კულტურაშიც კი კრეატიულობის (მწერლობა, ხელოვნება, არქიტექტურა) წყარო შეიძლება გახდეს. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მის მიმდებარედ არსებული ცნობილი ისტორიული და არქეოლოგიური ობიექტები (ციხე-ქალაქები, დიდგორის ველი და სხვა).

ეკოსისტემური სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ვიზიტორებში და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებასთან, ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობასთან; ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობასთან და ა.შ. თუმცა ეს ყველაფერი აუცილებელია მოხდეს კონსერვაციის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებით დაცვით.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- მოსახლეობა (არამარტო ადგილობრივი);
- ვიზიტორები და სხვა.

3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის არსებული მიმართულებები დაკავშირებულია ველური ბუნების, ტყის ეკოსისტემის, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, რელიეფის და გეოლოგიური თავისებურებების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობასთან, რაც იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს.

ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გაძლიერება შესაძლებელია არსებული ეკოტურისტული ლოკაციების შენარჩუნება-განვითარების პარალელურად, ახალი ობიექტების მოწყობის გზით. ბოლო პერიოდის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ასეთი ეკოტურისტული ობიექტების მოწყობა დაცული ტერიტორიების საზღვრებშიც ხდება[2]. რეკომენდირებულია განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, თუმცა დაცული ტერიტორიების კონსერვაციის პრინციპების მაქსიმალური დაცვით, ადგილობრივი მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებით. ესეთი მიდგომა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის ფულადი შემოსავლების პირდაპირ ზრდას, რაც ისევ დაცული ტერიტორიის კონსერვაციისკენ იქნება მიმართული.

[2] მაგალითები იხ. ვებ-გვერდებზე:
https://www.cntraveler.com/galleries/2014-05-25/national-park-lodgings;
https://www.nps.gov/index.htm?fbclid=IwAR3f41t8Vd4tBGzKIqcngH8Npil6lltMDRhU6rMdIy0gUFa_ueUFl0lvWHc
https://national-parks.org/europe?fbclid=IwAR2XtCtrm2ne2dGmhzLbEpxPliqtjW_qCniH5a-XKyeoHJHdwNjLRNDhiMs

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების რეკომენდაციები მოცემულია პარაგრაფში 4.

3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები

შეხვედრები გაიმართა როგორც ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან (დაბა მანგლისი, სოფლები კოდისწყარო, ჭინჭრიანი, ნამტვრიანი და სხვა).



ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან შეხვედრების დროს ადმინისტრაციას მიეწოდა წინასწარი ინფორმაცია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმის პროექტის მიზნებისა და ამოცანების, დაგეგმილი აქტივობების და სამომავლო საჯარო განხილვების შესახებ. თავის მხრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ხედვის გაზიარება.

მიზნობრივი შეხვედრა გაიმართა რეინჯერებთან. შეხვედრის დროს გაანალიზებული იქნა არსებული კარტოგრაფიული მასალა, წარსული გამოცდილება და იდეები. მათი დახმარებით მოხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის პერსპექტიული ადგილების მონახულება და არსებული მდგომარეობის შეფასება. მათთან უშუალო კონსულტაციების გზით შემუშავდა თითოეული ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების კონცეფცია.

საველე ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი პრობლემები და მათი მოლოდინები. მოსახლეობისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და კომუნიკაციის განვითარების დაბალი ხარისხი. საავტომობილო გადაადგილება განსაკუთრდებით რთულდება ზამთრის პერიოდში. სოფლების ნაწილს ელექტრენერგია მიეწოდება შეფერხებით, რისი მთავარი მიზეზი ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმართაობაა. მოსახლეობა მიესალმება რეგიონში ეკოტურიზმის განვითარებას, თუმცა ეს უნდა მოხდეს ადგილობრივი გზების და საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ეს არის სამუშაო ადგილების სიმცირე და შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლებიდან. ამ მხრივ შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დაბა მანგლისში, სადაც მოსახლეობის დასაქმების ძირითად სფეროს წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციები, მცირე ზომის შიდამეურნეობები და ტურიზმი. მაღალმთიანი სოფლების ნაწილი დაცლილია ან დაცლის პირასაა. მოსახლეობის აზრით ეკოტურიზმის განვითარების პროცესში, როგორც სარეაბილიტაციო-სამშენებლო ეტაპზე, ასევე ოპერირების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. კერძო ბიზნესთან ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში ეს ვალდებულება მკაფიოდ უნდა გაიწეროს.

მოსახლეობა ზოგადად ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების წინააღმდეგი არ არის, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვთ ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა მათ რა პირდაპირი სარგებელი შეიძლება მოუტანოს მსგავსი პროექტების განხორციელებამ. ამ მხრივ დისკუსიები გაიმართა ვიზიტორებისთვის სხვადასხვა სერვისების

შეთავაზების (მაგ. სატრანსპორტო მომსახურება, სხვადასხვა ინვენტარის გაქირავება-გაყიდვა და ა.შ.) და ადგილობრივი ნატურალური ნაწარმოს გაყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მათი თქმით ამ ეტაპზე მსგავსი სერვისების ვიზიტორებისთვის შეთავაზების პერსპექტივა მინიმალურია და ამ მხრივ ფინანსური სარგებლის მიღების ნაკლები მოლოდინები არსებობს. თუმცა პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და ვიზიტორთა დამატებითი ნაკადების მოზიდვის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილობრივებს ჰქონდეთ ამ მხრივ მეტი დაინტერესება.

ბირთვისის ბუნებრის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის და ადგილობრივი ბიზნესის მოლოდინები ამ არეალში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალია. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ბირთვისის ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე შესასვლელების მიმდებარე არეალის განვითარება ტურისტული თვალსაზრისით, როგორიცაა სოფ. ამლივის და სოფ. ტბისის მიმდებარე ტერიტორიები. შესაბამისად ეს ადგილები ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომად უნდა დარჩეს.

„საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტების“ ფარგლებში შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და სხვა დაინტერესებული მხარეები. დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგემების მომზადებას ფასილიტაციას უწევდა დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ალგეთის ეროვნული პარკის ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3.3.1.

ცხრილი 3.3.1. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია

N	თარიღი	აქტივობა
1.	07.06.2023	გაიმართა პირველი ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ზუმის საშუალებით, ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის გენერალური გეგმების შემუშავების პროცესისა და სამოქმედო გეგმის განსახილველად.
2.	09.06.2023	საპროექტო ჯგუფი ეწვია ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ ცენტრს დაბა მანგლისში, სადაც გამართა დამატებითი შეხვედრა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან.
3.	09.06.2023-10.06.2023	საპროექტო ჯგუფმა ალგეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები მანგლისი - კლდეკარის მიმართულებით.
4.	09.06.2023-10.06.2023	საპროექტო ჯგუფმა ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა მანგლისი - კლდეკარის ლოკაციებზე, მოისმინა მათი საჭიროებები და მოლოდინები ეკოტურისტული ინფრასტურქტურის და სერვისების განვითარების თაობზე (დაბა მანგლისი, ჭინჭრიანი (იგივე არხოტი, ნამტვრიანა)
5.	13.06.2023	საპროექტო ჯგუფმა ალეგეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები წალკის მიმართულებით.
6.	15.06.2023	საპროექტო ჯგუფმა ალეგეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები ბირთვისის მიმართულებით.
7.	16.06.2023	საპროექტო ჯგუფმა ალგეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები სამშვილდეს კანიონის მიმართულებით.

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიის საზღვრებში ეკოტურისტული თვალსაზრისით საინვესტიციოდ მიმზიდველი ლოკაციების (სამიზნე ტერიტორიების) იდენტიფიცირება, მათი განვითარების კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, ასევე საბაზისო (კომპლექსური) ტურისტულ-რეკრეაციული და ამავე დროს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფციის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული ლოკაციების ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იყოს შშმ პირებზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შშმ პირების კომფორტული გადაადგილება შერჩეული ლოკაციების სხვადასხვა ზონაში და აქ გათვალისწინებულ სერვისებზე წვდომა მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე.

პერსპექტიული (საპროექტო) ლოკაციების მონიშვნა განხორციელდა წინასწარ, საოფისე სამუშაოების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა) კომუნიკაციის საფუძველზე. შემდგომში, საველე სამუშაოების საფუძველზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების პერსპექტიულობის შეფასება, სხვადასხვა გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.

4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების მიზნით საინვესტიციოდ ხელსაყრელი ტერიტორიების მოძიება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მათ შორის შეზღუდული სივრცე რელიეფის და ტყით მჭიდროდ დაფარულობის გამო. არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებად ჩაითვალა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების და გარემოსდაცვითი რისკები, არსებულ კომუნიკაციებთან, ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან, ვიზიტორებისთვის საინტერესო ლოკაციებთან და ღირშესანიშნაობებთან ხელსაყრელი განლაგება და ა.შ.

სამიზნე ტერიტორიების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმების აღწერა მოცემულია ცხრილში 4.2.1. ხაზგასასმელია, რომ ცხრილში მოცემული კრიტერიუმები წარმოდგენილია ზოგადი შეფასების და საველე რეკოგნოსცირებითი სამუშაოების საფუძველზე.

ცხრილი 4.2.1. სამიზნე ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმები

კრიტერიუმი	კრიტერიუმის დახასიათება
სამიზნე ტერიტორიის ადგილმდებარეობა და განლაგება:	• ლოკაცია, რომელიც მოქცეულია დაცული ტერიტორიების საზღვრებში, თუმცა არ მოიცავს მკაცრი დაცვის ზონას; • ლოკაცია, რომელიც განლაგებულია დაცული ტერიტორიების შეძლებისდაგვარად ცენტრალურ ნაწილში და საიდანაც მეტ-ნაკლებად თანაბრად არის ხელმისაწვდომი პერიფერიულ ნაწილებში არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობები; • არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურასთან, არსებულ და პოტენციურ ბილიკებთან ხელსაყრელი განლაგება; • ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ხელსაყრელი განლაგება; • მომიჯნავე სხვა რეკრეაციულ და საკურორტო ადგილებთან ხელსაყრელი

	განლაგება; • წყლის რესურსებზე და ელექტროენერგიაზე მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა; • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება.
რელიეფი და ფართობი	• საჭირო ფართობი სივრცითი განვითარებისთვის; • მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი რელიეფი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მინიმალური სირთულეები მშენებლობასთან დაკავშირებით;
ბუნებრივი გარემოს სპეციფიკა	• მეტ-ნაკლებად მდგრადი საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. მეწყრული, ეროზიული, ღვარცოფული პროცესების გათვალისწინება; • მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები; • პერსპექტივაში სივრცითი განვითარების შედეგად გეოლოგიურ მდგრადობაზე მინიმალური ზემოქმედება.
ეკოლოგია და გარემოსდაცვითი რისკები	• მინიმალური ჩარევა ადგილობრივ ეკოსისტემაში, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატების და განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული გარეულ ცხოველთა საბინადრო ადგილების მაქსიმალური შენარჩუნება; • ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირების და ამით ცნობად ლოკაციებზე წნეხის შემცირების შესაძლებლობა; • აუცილებელი ბუნებრივი რესურსების სიახლოვე და ამასთან ერთად ბუნებრივი რესურსების გამოყენების მინიმალური საჭიროება; • დამატებითი ინფრასტრუქტურის (მაგ. მისასვლელი გზები და ა.შ.) განვითარების ნაკლები საჭიროება; • ხანძრების განვითარების ნაკლები რისკები; • ხელსაყრელი გარემოება ნარჩენების მდგრადი მართვის თვალსაზრისით; • ხელსაყრელი პირობები წყალმომარაგება-წყალარინების მხრივ და ა.შ.
ადგილობრივი თემები	• მინიმალური გავლენა კერძო საკუთრებაზე და გარეშე ინვესტორების მინიმალური კონკურენცია ადგილობრივ თემებთან; • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება და მომიჯნავედ მაცხოვრებელი ადგილობრივებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების (საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია, კვების და მცირე ზომის სასტუმროების განვითარება და ა.შ.) თანაბარი შესაძლებლობა; • ინფრასტრუქტურული განვითარების ისეთი შესაძლებლობა, რომელიც მაქსიმალურად შეხამებული იქნება რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სპეციფიკურობასთან და ტრადიციებთან.
საინვესტიციო მიმზიდველობა	• მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობა; • ინტერესთა მინიმალური კონფლიქტი კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის; • ადამიანურ და სხვა სახის რესურსებზე ხელმისაწვდომობა; • ტურისტულად აქტიური სეზონის მაქსიმალური ხანგრძლივობა.
სხვა.	• საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის და ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა.

ცხრილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, საოფისე და საველე სამუშაოების საფუძველზე გამოვლენილი იქნა შემდეგი ალტერნატიული ტერიტორიები პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის:

- **ალტერნატივა 1** - „თხინვალას ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 2** - „შიხანის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 3** - „მოხისის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 4** - „ალგეთის ხეობის ეკოტურისტული ლოკაცია“, ე.წ. „ბურატინოს ტბის“ მიმდებარედ;
- **ალტერნატივა 5** - „ზემო ჭინჭრიანის ეკოტურისტული ლოკაცია“, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია ორ დამოუკიდებელ უბანზე:
  ალტერნატივა 5.ა. - ჩრდილოეთი უბანი;
  ალტერნატივა 5.ბ. - სამხრეთი უბანი;


- **ალტერნატივა 6** - „უგუდეთის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 7** - თბილისი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორია;
- **ალტერნატივა 8 –** „მამიდას ქვის ეკოტურისტული ლოკაცია“.
- **ალტერნატივა 9 –** „ბირთვისის ბუნების ძეგლის ეკოტურისტული ლოკაცია“, რომელიც მოიცავს 3 ქვე-ალტერნატივას“.

დოკუმენტის ფარგლებში ასევე განხილული იქნა დამატებითი ალტერნატივები:

- **ალტერნატივა 10** - „ქვემო ჭინჭრიანის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 11** - „პოლიანის ეკოტურისტული ლოკაცია“.

შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების ადგილმდებარეობები ნაჩვენებია ნახაზზე 4.2.1.

ნახაზი 4.2.1. შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების განლაგება



4.2.1 ალტერნატივა 1 – „თხინვალას ეკოტურისტული ლოკაცია“

4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ნასოფლარ თხინვალას მიმდებარედ. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 447512; Y – 4619544; Z – 1450-1470.

პირველი ალტერნატიული, თხინვალას ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილში, დაბა მანგლისის ჩრდილოეთით, მისგან 2,5 კმ მანძილის დაშორებით. ტერიტორიაზე უკვე არსებობს გარკვეული ინფრასტრუქტურა (თხინვალას ტურისტული თავშესაფარი, საცეცხლურები, საპიკნიკე ადგილი, საპირფარეშო, ფანჩატური და სხვა), რომელიც მოწყობილია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 5,8 ჰა-ს აღწევს. ადგილობრივი, საკმაოდ დანაწევრებული რელიეფის და მცერნარეული საფარის დაფარულობის მაღალი სიხშირის გათვალისწინებით სივრცე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, საკმაოდ შეზღუდულია.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორიაზე წარმოდგენილია ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი, რომელიც საკმაოდთ დანაწევრებულია მცირე ზომის დასავლეთით გამდინარე მშრალი ხევებით. ამ არეალში გეოლოგიურ აგებულებაში მთავარი ადგილი უჭირავს შუაეოცენურ ვულკანოგენურ ქანებს (ანდეზიტები). წარმოდგენილია ასევე ტუფობრექჩიები, კირქვები, თიხები. თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია აკუმულაცია, ფართობითი ეროზია და გამოფიტვა. აქტიური მეწყრული უბნები არ არის წარმოდგენილი.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: შემოთავაზებული ტურისტული ლოკაცია ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობს წარმოადგენს, სადაც განვითარებულია ტყის ტიპის ჰაბიტატი აღმოსავლური ნაძვით *(Picea orientalis)* და კავკასიური სოჭით *(Picea orientalis).* ასევე გხვდება მინდვრის ნეკერჩხალი *(Acer campestre),* რცხილა *(Carpinus caucasica),* წიფელი *(Fagus orientalis)* იფანი *(Fraxinus excelsior).* ქვეტყეში წარმოდგენილია ნემსიწვერა (Geranium spp), ისლი (carex spp), პიტნა (Mentha spp) და სხვა. მიუედავად იმისა, რომ ტერიტორიაზე უკვე არსებობს გარკვეული სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა (კოტეჯი, საპირფარეშო, საცეცხურები და სხვ.) ჰაბიტატების ღირებულება საკმაოდ მაღალია, რაც გასათვალისწინებელია შემდგომი განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. თუმცა ჰაბიტატის სპეციფიკიდან გამომდინარე აქ შეიძლება მოხვდეს რეგიონში მობინადრე მაღალღირებული სახეობები. ტერიტორია საკმაოდ მიმზიდველია ხელფრთიანების ბინადრობისთვის. თუმცა ძირითადი სახეობები ტყის მცირე ზომის ფრინველები არიან.

არსებული კომუნიკაციები: კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია. ტერიტორიამდე მიდის გრუნტის გზა (დაბა მანგლისიდან), სადაც გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილით. წყალმომარაგებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მიმდებარედ არსებული წყაროს წყალი, მისი დაკაპტაჟების გზით. სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის ყველაზე მისაღები ალტერნატივაა სეპტიკური ამოსანიჩბი ორმოების გამოყენება, რადგან მიმდებარედ გადის მხოლოდ მშრალი ხევები, რომლებიც დაცული ტერიტორიების მიმართულებით გაედინება. ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფა შესაძლებელია დაბა მანგლისიდან (დაშორება უახლოეს წყარომდე 2,5-3,0 კმ), თუმცა უკეთესი ალტერნატივაა მზის პანელების გამოყენება. ასევე პრობლემურია მობილური და ინტერნეტ კავშირის შესაძლებლობა (ლოკაცია არ ექცევა დაფარვის ზონაში).

ტურისტული ფონი: მიუხედავად იმისა, რომ ლოკაციაზე უკვე არსებობს გარკვეული სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ვიზიტორების ინტერესი და ტურისტული ფონი არ არის განსაკუთრებით მაღალი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ლოკაციის მიმდებარე მდელოზე რამდენიმე წლის წინ მოეწყო ახალგაზრდული ფესტივალი. თუმცა ეს ტრადიცია არ გაგრძელებულა.

4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია დაბა. მანგლისთან სიახლოვე, ლამაზი ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო და გარკვეული სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა. ჩამოთვლილი გარემოებები შაბათ-კვირის დასავენების მსურველ და პიკნიკის მოყვარულ ვიზოტორთა (შეზღუდული რაოდენობით) მოზიდვის კარგ პერსპექტივას ქმნის.

თუმცა ლოკაციას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები. მათ შორის აღსანიშნავია შედარებით რთული რელიეფი და ხე-მცენარეული საფარით მაღალი დაფარულობა. ეს გარემოება არსებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაფართოების სივრცეს ზღუდავს. შესაბამისად რეკომენდირებულია აქცენტი გაკეთდეს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-მოდიფიცირებასა და სხვადასხვა ეკოტურისტული აქტივობების დანერგვაზე. ღამის გასათევი ადგილების მხრივ შესაძლებელია განხილული იყოს მხოლოდ მცირე ზომის, ანალოგიური კონსტრუქციის თავშესაფრების მოწყობა, რომელიც მოზაიკურად განლაგდება უკვე არსებულ, ხე-მცენარეული საფარით ნაკლებად დაფარულ ადგილებში.

სხვა შემზღუდველი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მისასვლელი გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, სირთულეები კომუნიკაციების განვითარების მხრივ. ასევე აუცილებელი გასათვალისწინებელი საკითხია საინჟინრო-გეოლოგიური გარემო, რაც შემდგომი, საფუძლიანი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 3 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,77 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 4,8 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,25 ჰა.

<u>სამშენებლო ზონა</u> - ვრცელდება ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, იმ არეალში და მიმდებარედ, სადაც ამჟამად უკვე არსებობს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. საშენებლო ზონა მოიცავს საერთო ფართობის დაახლოებით 13%-ს, სადაც ნაკლებად არის

გავრცელებული ხე-მცენარეები, ვიზუალური შეფასებით ნაკლებია გეოდინამიკური საფრთხეების გავლენა ტერიტორიებზე. შერჩეული ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- დამატებითი მცირე ზომის კოტეჯები;
- ფანჩატურები;
- საცეცხლურები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.).

<u>რეკრეაციული ზონა</u> - მოიცავს სამშენებლო ზონის შემოგარენ, ნაკლებად ანთროპოგენურ ტერიტორიებს. საერთო ფართობის 82,5%. გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს შემდეგი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

- საკემპინგე სივრცეები;
- თოკების პარკი;
- გადასახედები.


<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 4,5 %-ს. ეს ზონა გამოიყო ლოკაციის სამხრეთით, არსებული საავტომობილო გზის მიმდებარედ. სამშენებლო ზონასთან მისასვლელი გზა ემთხვევა არსებულ ბილიკს. სატრანსპორტო ზონა განკუთვნილია საპარკინგე სივრცეებისთვის და შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურისთვის.

გარდა ჩამოთვილი ზონებისა უნდა აღინიშნოს, რომ ლოკაციის აღმოსავლეთით არსებული მდელოზე, რომელიც დაცული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მდებარეობს შესაძლებელია გამოიყოს საფესტივალო სივრცე. აღნიშნულის გამოცდილება უკვე არსებობს - წარსულში ამ არეალში გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი, თუმცა ეს ტრადიცია აღარ გაგრძელებულა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.1.3.1.

ნახაზი 4.2.1.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




447386
447486
447586
447686
4619566
4619366
4619166
N
84.17.31.033
84.18.42.002.614
ლეგენდა
საშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
საერთო სარგებლობის ზონა
0
0.025
0.05
0.1
km
1:2000

4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

განსახილველი ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის ერთ-ერთი ბილიკის - დაბა მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი წრიული ბილიკის მიმდებარედ. მარშრუტზე შესაძლებელია 1-2 დღიანი საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების მოწყობა. ვიზიტორებისთვის ინტერესის მთავარი საგანია ლაშქრობა, კემპინგი, თვალწარმტაცი ხედები ალგეთის ხეობაზე. ამავე მარშრუტით შესაძლებელია უფრო ჩრდილოეთით, მე-2 ალტერნატიულ ლოკაციასთან დაკავშირება, სადაც შემოთავაზებულია სხვადასხვა სერვისები. პერსპექტიულია მიმდებარე მდელოებზე სხვადასხვა თემატიკის ახალგაზრდული ფესტივალების ორგანიზება, რისი პრაქტიკაც უკვე არსებობს.

4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

თხინვალას ალტერნატიული ლოკაციის განვითარების შეთავაზებული კონცეფცია ითვალისწინებს მცირე მასშტაბის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და არსებულის მოწესრიგება-მოდიფიცირებას. განსაზღვრული არ არის მასშტაბური კომპლექსების მოწყობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების მომატებული საფრთხეებით ხასიათდება. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მსგავსი ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას არ ითვალისწინებს. მსგავსი საქმიანობები ძირითადად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ექვემდებარება.

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.2 ალტერნატივა 2 – „შიხანის ეკოტურისტული ლოკაცია“

4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, შიხანის მთასთან. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 447610; Y – 4622029; Z – 1720-1750.

მე-2 ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილში, დაბა მანგლისიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 5,0 კმ მანძილის დაშორებით. ტერიტორია განლაგებულია თრიალეთის ქედის მთა შიხანის დასავლეთ ფერდობზე. ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 26,2 ჰა-ს შეადგენს. ტერიტორია წარმოადგენს

მდელოს ტიპის ჰაბიტატს და პრაქტიკულად თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან. შესაბამისად არსებობს საკმარისი სივრცე მრავალფეროვანი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: როგორც აღინიშნა ტერიტორია წარმოადგენს თრიალეთის ქედის მთა შიხანის დასავლეთ ფერდობის ნაწილს. რელიეფი დენუდაციურია, დახრილია დასავლეთის მიმართულებით. ამ არეალისთვის ასევე დამახასიათებელია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე მოსწორებული ზედაპირები. შემორჩენილია მეოთხეული ვულკანიზმის ნაშთები. გვხდება მეოთხეული ფუძე ლავები - ბაზალტები, ანდეზიტ-ბაზალტები, დოლერიტები, ზოგან ნეოგენური კონტინენტური (მდინარეული და ტბიური) ნაფენები – ქვიშები, თიხაფიქლები, რიყნალები, ქვიშაქვები. მკეთრად გამოხატული საშიში გეოდინამიკური პროცესები არ აღინიშნება.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაცია პრაქტიკულად მთლიანად თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისაგან და შეესაბამება მდელოს ტიპის ჰაბიტატს (E3.4., E3.5.). წარმოდგენილია შემდეგი ბალახოვანი სახეობები: ნემსიწვერა *(Geranium spp),* ისლი *(Carex spp),* პიტნა *(Mentha spp),* დიდი კამა *(Foeniculum vulgare),* კესანე *(Myosotis Spp),* ძიგვი *(Nardus stricta,* შავი კუნელი *(Crataegus pentagyna),* ჩიტავაშლა *(Pyracantha coccinea)* და სხვა. მო მიჯნავე ადგილებში აქა-იქ წარმოდგენილია ჭაობის მცენარეულობა და ტყის მცირე ნაშთები. ჰაბიტატის ანთროპოგენული ტრანსფორმაციის ხარისხი შესამჩნევია, რაც ამ ტერიტორიების საძოვრად გამოყენებას უკავშირდება. საველე კვლევის დროს განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული სახეობები არ გამოვლენილა.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორია მიმზიდველია რეგიონში მობინადრე მტაცებელ ფრინველთა სახეობებისთვის, როგორიცაა: ყივანი არწივი *(Clanga clanga)* და ბექობის არწივი *(Aquila heliacal).* თუმცა მათ მუდმივ საბინადრო ადგილებს არ წარმოადგენს. მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის ტერიტორია ნაკლებად მიმზიდველია, თუმცა ადგილობრივების გამოკითხვით დადგინდა, რომ ლოკაციის დასავლეთით არსებულ გატყიანებულ ხევებში საკმაოდ ხშირია ევროპული შველის *(Capreolus capreolus)* გამოჩენა. ტერიტორიაზე შეიძლება შეგხვდეს სხვადასხვა სახეობის ხვლიკი: *(Darevskia dahli*), (*Darevskia portschinskii).* საერთო ჯამში ცხოველების შემაწუხებელი ფაქტორი საკმაოდ= მნშვნელოვანია განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როცა ეს ადგილები ინტენსიურად გამოიყენება საძოვრად.

არსებული კომუნიკაციები: ალტერნატიულ ლოკაციაზე აღსანიშნავია სირთულეები კომუნიკაციების განვითარების მხრივ. ტერიტორიამდე მიდის გრუნტის გზა, სადაც მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილით გადაადგილება არის შესაძლებელი. ტერიტორია არ არის მოქცეული მობილური და ინტერნეტის დაფარვის ზონაში. წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უახლოესი ქსელი წარმოდგენილია დაბა მანგლისში, რომლის დაშორების მანძილი საკმაოდ დიდია და ასევე აღსანიშნავია სიმაღლეთა მნიშვნელოვანი სხვაობა. შესაბამისად წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის ერთადერთი ოპტიმალური ალტერნატივა შეიძლება იყოს ადგილობრივი წყაროების

დაკაპტაჟება და მზის პანელების გამოყენება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზონაში წყაროების დებიტი საკმაოდ მცირეა და შესაბამისად აქცენტი უნდა გაკეთდეს წყლის სამარაგო ინფრასტრუქტურაზე.

ტურისტული ფონი: ტურისტული ფონი დაბალია. ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორებისთვის ეს ადგილი ნაკლებად ცნობადია. აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორია და მიმდებარე მდელოები გამოყენებულია ზაფხულის საძოვრებად.

4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის მთავრი უპირატესობაა, რომ სივრცე საკმაოდ დიდია სხვადასხვა სახის ინფრასტრქტურის განვითარებისთვის. რელიეფი დამაკმაყოფილებელია, ხოლო ხე-მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში საინჟინრო-გეოლოგიური და მაღალღირებულ ფლორისტულ სახეობებზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია. აღსანიშნავია ძალიან ლამაზი ხედები დასავლეთის მიმართულებით. ასევე პერსპექტიულია ცხოველებზე დაკვირვების სერვისების, საკარვე და საპიკნიკე ადგილების შეთავაზება.

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- მაღალი სიმაღლებრივი მდებარეობა და საკმაოდ რთული კლიმატური პირობები, რაც ზღუდავს ტურისტული სეზონის ხანგრძლივობას. თუმცა მეორე მხრივ შესაძლებელია აქცენტის გაკეთდეს ზამთრის ეკოტურისტულ სერვისებზე;
- მისასვლელი გზის სირთულე;
- სირთულეები კომუნიკაციების განვითარების მხრივ;
- შედარებით ნაკლები კავშირი არსებულ და პერსპექტიულ ეკოტურისტულ ბილიკებთან. თუმცა კავშირის უზრუნველყოფა შესაძლებელია დაბა მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი წრიული ბილიკის მცირედი მოდიფიცირების გზით;
- ტერიტორია და მიმდებარე ადგილები გამოიყენება ზაფხულის საძოვრად. შესაბამისად გასათვალისწინებელი საკითხია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე არსებობს ფართობი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. შესაბამისად ამ ლოკაციაზე მრავალფეროვანი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობა არსებობს.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა (მიახლოებითი ზონირება იხ. ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,6 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 7,4 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი 17,6 ჰა.;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,6 ჰა.

<u>ადმინისტრაციული ზონა</u> - ადმინისტრაციული ნაწილისთვის გამოყოფილია შერჩეული ტერიტორიის დაახლოებით 2,3 % - ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებულია:

- რეინჯერების ქოხი;
- საინფორმაციო სივრცე;სტენდი;
- ღამის გასათევი ადგილი სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ჯგუფებისთვის;

- ტერიტორია ეკოტურისტული სერვისებისთვის (მაგ: ცხენების, ველოსიპედების, სხვადასხვა საველე აღჭურვილობის (მაგ. საძილე ტომრები, კარვები და სხვა) გაქირავება და ა.შ.).

<u>სამშენებლო ზონა</u> - ტერიტორიის დაახლოებით 28,2 %. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- მცირე ზომის კოტეჯები ან რამდენიმე ნომრიანი სასტუმრო (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისასვლელი გზის სირთულის და კომუნიკაციების განვითარების დაბალი ხარისხის გამო ამ ლოკაციაზე სასტუმროს განვიტარებით ინვესტორის დაინტერესების ალბათობა ნაკლებია;;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- ახალგაზრდული საგანმანათლებლო საბანაკე სივრცე;
- ტერიტორიის გამოყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ე.წ. „ქაბინ ქარებისთვის“ (მანქანა სახლები)
- და სხვა.


<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 67,4%. შესაძლებელია შემდეგი სახის ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება;


- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- საბავშვო ინტერაქციულ-შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- საფესტივალო სივრცე;
- გადასახედები და სათვალთვალო კოშკები;
- და სხვა.

<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 2,1 %-ს და მოინიშნა არსებულ გრუნტის გზის მიმდებარედ. სატრანსპორტო ზონა უკავშირდება ადმინისტრაციულ- სამშენებლო და რეკრეაციულ ზონებს, რაც უზრუნველყოფს შერჩეული ლოკაციის ყველა ზონამდე ხელსაყრელ გადაადგილებას. სატრანსპორტო ზონა განკუთვნილია საპარკინგე სივრცეებისთვის და შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურისთვის.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.2.3.1.

ნახაზი 4.2.2.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
84.18.42.001.005
84.18.42.001.008
84.17.31.033
84.18.42.001.003
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
საამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0 0.05 0.1 0.2
km
1:2000
447122
447222
447322
447422
447522
447622
447722
447822
447922
4622424
4622224
4622024
4621824
4621624
4621424
4621224

4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

განსახილველი ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის ერთ-ერთი ბილიკის - დაბა მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი წრიული ბილიკის მიმდებარედ. მარშრუტზე შესაძლებელია 1-2 დღიანი საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების მოწყობა. ვიზიტორებისთვის ინტერესის მთავარი საგანია ლაშქრობა, კემპინგი, თვალწარმტაცი ხედები ალგეთის ხეობაზე. განსახილველ ლოკაციასთან შედარებით კარგი კავშირი არსებობს პირველი და მესამე ალტერნატიული ლოკაციებიდან. შესაბამისად შესაძლებელია ამ სამ ლოკაციას შორის სხვადასხვა ეკოტურისტული სერვისების ჯაჭვის შექმნა.

4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და შესაბამისი შერბილების ღონისძიებების საკითხები. გარდა ამისა, რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.3 ალტერნატივა 3 - „მოხისის ეკოტურისტული ლოკაცია“

4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 449058; Y – 4620259; Z – 1570-1600.

მე-3 ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილში, დაბა მანგლისიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 4,0 კმ მანძილის დაშორებით. ტერიტორია განლაგებულია თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე. ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 9,4 ჰა-ს შეადგენს. ტერიტორია წარმოადგენს ძირიტადად ტყით დაფარულ ტერიტორიას, ალაგ-ალაგ მდელოს ტიპის ჰაბიტატებით.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია. წარმოდგენილია საშუალო დახრილობის ფერდობები. დახრა სამხრეთულია. აღსანიშნავია მცირე ზომის ხევებით დანაწევრება. გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენილია ვულკანოგენური, ვულკანოგენურ-დანალექი, ვულკანოგენურ-კარბონატული ტერიგენული და ფლიშური ფორმაციები. მიუხედავად რელიეფური პირობებისა, მნიშვნელოვანი ეგზოგეოდინამიკური პროცესების გამოვლინება არ აღინიშნება.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაციაზე წარმოდგენილია ფოთლოვანი ტყის ჰაბიტატი ალაგ-ალაგ მდელოებით. წარმოდგენილია შემდეგი სახეობები: ქართული მუხა *(Quercus iberica),* თელა *(Ulmus),* სოჭი *(Abies nordmanniana),* წიფელი *(Fagus orientalis).* ბუჩქები: მაყვალი *(Rubus spp),* ასკილი *(Rosa canina),* შავი ღვია *(Juniperus foetidissima).* ბალახოვანის ახეობებიდან ძირითადია: ნემსიწვერა (Geranium spp), ისლი (carex spp), კესანე (Myosotis Spp) და სხვა. ანთროპოგენული ტრანსფორმაციის ხარისხი შესამჩნევია, ვინაიდან ეს ტერიტორიები გამოიყენება საძოვრად და ტყის არამერქნულის ახეობების შესაგროვებლად.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ამ ლოკაციაზე ტყის ჰაბიტატებისთვის დამახასიათებელი, ძირითადად მცირე ზომის ფრინველთა სახეობები შეიძლება შეგვხდეს. მსხვილი ზომის ძუძუმწოვრებისთვის ეს ადგილი ნაკლებად მიმზიდველია.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორიამდე მიდის გრუნტის საავტომობილო გზა, თუმცა მისი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. გზაზე გადაადგილება რთულია ზამთრის და ძლიერი წვიმების დროს. ელექტრომომარაგება შესაძლებელია დაბა მანგლისიდან. თუმცა დაშორების საკმაოდ დიდი მანძილიდან გამომდინარე უკეთესი ალტერნატივა მზის პანელების გამოყენება იქნება. წყალმომარაგება შესაძლებელია წყაროებიდან ან განხილული უნდა იყოს მიწისქვეშა რესურსების გამოყენებაც. სამეურნეო-ფეკალური წყლების არინების ალტერნატივები არ არის მრავალფეროვანი - აქცენტი უნდა გაკეთდეს სეპტიკურ ამოსანიჩბ ორმოებზე. ტერიტორია მოქცეულია ინტერნეტის და მობილური ქსელის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: ტურისტული ფონი დაბალია. ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორებისთვის ეს ადგილი ნაკლებად ცნობადია. აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორია და მიმდებარე მდელოები გამოყენებულია ზაფხულის საძოვრებად. ლოკაცია მიმზიდველი შეიძლება გახდეს ლაშქრობის და შაბათ-კვირის დასვენების მსურველი ვიზიტორებისთვის, წელიწადის ოთხივე სეზონზე.

4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

დადებითად უნდა შეფასდეს ლოკაციის მეტ-ნაკლებად მისაღები რელიეფური პირობები, ხე-მცენარეული საფარის დაფარულობის ნაკლები კოეფიციენტი და ფლორისტული გარემოს დაბალსენსიტიურობა, ასევე მისი სიახლოვე დაბა მანგლისთან. ტერიტორიის სივრცე დამაკმაყოფილებელია საკმაოდ მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარებისთვის.

ალტერნატიული ლოკაციის ნაკლოვანებებია გარკვეული სირთულეები საჭირო კომუნიკაციების განვითარების კუთხით. ტერიტორია ნაკლებად ცნობადია ეროვნული პარკის სტუმრებისთვის. მიმდებარე მდელოები გამოიყენება საძოვრად და შესაბამისად გასათვალისწინებელია სოციალური საკითხები. ლოკაცია ნაკლებად ხელსაყრელ განლაგებაშია ალგეთის ეროვნული პარკის არსებულ და პერსპექტიულ ბილიკებთან.

4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,3 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 2,9 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 5,8 ჰა.
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,44 ჰა;

ადმინისტრაციული ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 3,4 %, რომელიც გამოიყო ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ტერიტორიაზე განიხილება შემდეგი ობიექტების მოწყობა:

- მცირე ვიზიტორთა ცენტრი და საინფორმაციო სივრცე;
- რეინჯერების ქოხი;

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 31,0%. ეს ზონა გამოიყო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ნაკლები ხე-მცენარეული საფარის მქონე უბანზე. ამ ზონაში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები;
- ახალგაზრდული საგანმანათლებლო საბანაკე სივრცე;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- და სხვა.


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 60,9%. ეს ზონა გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:


- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- თოკების პარკი ან ხის კენწეროების ბილიკი;
- საბავშვო ინტერაქციულ-შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
-
- და სხვა.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 4,7%-ს. აღნიშნული ზონის ფარგლებში გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და საპარკინგე სივრცეები.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.3.3.1.

ნახაზი 4.2.3.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია





4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

როგორც აღინიშნა, განსახილველი ლოკაციის ერთ-ერთი ნაკლოვანებაა ეროვნული პარკის არახელსაყრელი განლაგება ალგეთის ეროვნული პარკის ძირითად (განსაკუთრებით

დასავლეთ ნაწილის) ბილიკებთან. მეტ-ნაკლებად კავშირშია დაბა მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი წრიულ ბილიკთან. შესაბამისად ლოკაციაზე სტუმარი ვიზიტორებისთვის შეთავაზებული იქნება ამ ბილიკზე დაგეგმილი და არსებული სერვისები. შესაძლებელია 1-2 დღიანი საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების მოწყობა. ვიზიტორებისთვის ინტერესის მთავარი საგანია ლაშქრობა, კემპინგი, თვალწარმტაცი ხედები ალგეთის ხეობაზე. განსახილველ ლოკაციასთან შედარებით კარგი კავშირი არსებობს პირველ და მეორე ალტერნატიული ლოკაციებიდან. შესაბამისად შესაძლებელია ამ სამ ლოკაციას შორის სხვადასხვა ეკოტურისტული ატრაქციების და სერვისების ჯაჭვის შექმნა.

4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.4 ალტერნატივა 4 – „ალგეთის ხეობის ეკოტურისტული ლოკაცია“, ე.წ. „ბურატინოს ტბის“ მიმდებარედ

4.2.4.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, მდ. ალგეთის და მართალხევის შესართავთან. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 444690; Y – 4617066; Z – 1110-1120.

ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ალგეთის ხეობაში, დაბა მანგლისიდან დასავლეთით, დაახლოებით 2,0 კმ მანძილის დაშორებით. ტერიტორიაზე უკვე არსებობს გარკვეული ინფრასტრუქტურა (ფანჩატურები, საცეცხლურები, საპიკნიკე ადგილი, საპირფარეშო და სხვა), რომელიც მოწყობილია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 2,2 ჰა-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის ძირითადი ეკოტურისტული ბილიკების გზაგასაყართან.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორია წარმოადგენს მდ. ალგეთის სანაპირო ზოლის ნაწილს. მოცემულ მონაკვეთში ხეობა ვიწროა. უშუალოდ ტერიტორიაზე რელიეფის მკვეთრი ცვალებადობა არ აღინიშნება, თუმცა მის საზღვრებს გარეთ წარმოდგენილია მკვეთრი დახრილობის ფერდობები. ტერიტორიის ზედაპირი აგებულია დელუვიური და ალუვიური ნალექები, ხოლო მიმდებარე ფერდობებზე აღინიშნება კლდოვანი ქანების გაშიშვლებები. მიუხედავად მდინარის სიახლოვისა, მკვეთრად გამოხატული ეროზიული პროცესები არ ფიქსირდება. აქტიური მეწყრული უბნები არ არის წარმოდგენილი.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: შემოთავაზებული ტურისტული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ხეობაში, მდინარის გასწვრივ. წარმოდგენილია მუხნარ-ჯაგრცხილნარი ჰაბიტატი შემდეგი სახეობებით: ქართული მუხა *(Quercus iberica.),* ჯაგრცხილა *(Carpinus orientalis*), ქართული ნეკერჩხალი *(Acer ibericum),* ნეკერჩხალი (ქორაფი), პატარა თელადუმა *(Ulmus minor),* შინდი *(Cornus mas),* შავჯაგა *(Rhamnus pallasii),* შავი კუნელი *(Crataegus pentagyna),* ჩიტავაშლა *(Pyracantha coccinea),* ბერსელა *(Brachypodium sylvaticum),* ისლი *(Carex sylvatica).* ჰაბიტატის ტრანსფორმაციის ხარისხი შესამჩნევია საავტომობილო გზის, ბილიკების და უკვე არსებული ეკოტურისტული ნფრასტრუქტურის გამო.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. ლანდშაფტური თავისებურებებიდან გამომდინარე ამ ადგილების ვიზიტორი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობიდან უნდა აღინიშნოს ევრაზიული წავი *(Lutra lutra).* გამორიცხული არ არის ეს სახეობა ბინადრობისთვის იყენებდეს მდინარის სანაპირო ზოლს. ასევე ტერიტორიის სიახლოვეს შეიძლება მოხვდეს ევროპული შველი *(Capreolus capreolus).* ამ ლოკაციაზე ასევე შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა სახეობის ქვეწარმავლები და ამფიბიები, მათ შორის მცირეაზიური ტრიტონი *(Triturus vittatus),* დალის ხვლიკი *(Darevskia dahli),* ხმელთაშუაზღვის კუ *(Testudo graeca).* მიმდებარე კლდოვან

ადგილებში შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა სახეობის ხელფრთიანების საბინადრო ადგილები.

არსებული კომუნიკაციები: ლოკაციაზე კომუნიკაციების განვითარების მხრივ მდგომარეობა ყველაზე დამაკმაყოფილებელია სხვა უკვე აღწერილ ალტერნატივებთან შედარებით. ელექტრომომარაგება შესაძლებელია დაბა მანგლისიდან, წყალმომარაგებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს მიმდებარე ზედაპირული წყლის ობიექტები. ტერიტორიამდე მიდის შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არსებული გრუნტის გზა. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: ლოკაციაზე უკვე არსებობს გარკვეული სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. ლოკაციის ცნობადობას ასევე ხელს უწყობს ეროვნული პარკის ძირითადი ტურისტული ბილიკების სიახლოვე. აქედან გამომდინარე ტურისტული ფონი მაღალია სხვა აღწერილ ლოკაციებთან შედარებით.

4.2.4.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია დაბა. მანგლისთან სიახლოვე, ლამაზი ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო და გარკვეული სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა. ჩამოთვლილი გარემოებები შაბათ-კვირის დასვენების მსურველ და პიკნიკის მოყვარულ ვიზოტორთა მოზიდვის კარგ პერსპექტივას ქმნის. ტერიტორიის ფარგლებში სხვადასხვა კომუნიკაციების განვითარების კარგი შესაძლებლობა არსებობს.

დადებითად უნდა შეფასდეს ლოკაციის განლაგება ეროვნული პარკის ბილიკებთან და არსებულ ცნობილ სერვისებთან (მაგ. ე.წ. „ბურატინოს ტბის“ კერძო ინფრასტრუქტურა) მიმართებაში. ხელსაყრელია ლოკაციის მდებარეობა ზღვის დონიდან და კლიმატური პირობები, რაც საშუალებას იძლევა ინფრასტრუქტურამ ვიზიტორებს უმასპინძლოს ოთხივე სეზონზე.

თუმცა ლოკაციას გააჩნია ნაკლოვანებებიც: ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაფართოებისთვის სივრცეს შეზღუდულია. რეკომენდირებულია აქცენტი გაკეთდეს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-მოდიფიცირებასა და სხვადასხვა ეკოტურისტული აქტივობების დანერგვაზე. ღამის გასათევი ადგილების მხრივ შესაძლებელია განხილული იყოს მხოლოდ მცირე ზომის კოტეჯების მოწყობა, რომელიც მოზაიკურად განლაგდება ტერიტორიაზე.

4.2.4.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ხელსაყრელი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე და არსებულ ბილიკებთან განლაგების გათვალისწინებით ეს ლოკაცია შესაძლებელია იქცეს მოლაშქრეებისთვის საკვანძო პუნქტად. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 2 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ რუკაზე):

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1,1 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1,1 ჰა.

<u>სამშენებლო ზონა</u> - ვრცელდება ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, დაახლოებით 50 %-ზე. შერჩეული ზონის ფარგლებში ნაკლებად არის გავრცელებული ხე-მცენარეები, ვიზუალური შეფასებით ნაკლებია გეოდინამიკური საფრთხეების გავლენა ტერიტორიებზე. შერჩეული ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- მცირე ზომის კოტეჯები;


- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.).


<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის შემოგარენი, დაახლოებით 50 %. ტერიტორია გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:

- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- ფანჩატურები;
- საბავშვო ინტერაქციულ-შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
-
- მდ. ალგეთზე და მდ. ნეფთიანკაზე შესაძლებელია კეთილმოწყობილი სანაპირო ინფრასტრუქტურის განვითარება. არსებობს ჯომარდობის სერვისის შეთავაზების პერსპექტივა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.4.3.1.

ნახაზი 4.2.4.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




444476
444576
444676
4617294
4617094
4616894
N
84.17.31.033
84.17.33.026
ლეგენდა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
0
0.0225
0.045
0.09
km
1:2000
02.0
84.17.33.002
01.0

4.2.4.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის ძირითადი ბილიკების (ბილიკები 1, 2 და 3, იხ. პარაგრაფი 3.1.11.) გზაგასაყარზე. შესაძლებელია საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა ალგეთის ხეობის ზედა ნიშნულებისკენ, დასავლეთით და სოფ. ნამტვრიანის მიმართულებით ორი ალტერნატიული მარშრუტით.

ამავე ლოკაციიდან შესაძლებელია ტურების მოწყობა არსენას გამოქვაბულების მიმართულებით. ახლოს მდებარეობს კერძო ტურისტული ინფრასტრუქტურა (ე.წ. „ბურატინოს ტბა“), სადაც ვიზიტორებს შეეძლებათ ისარგებლონ ისეთი სერვისებით, როგორიცაა სამოყვარული თევზჭერა ან ნავებით გასეირნება.

4.2.4.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

ალტერნატიული ლოკაციის განვითარების შეთავაზებული კონცეფცია ითვალისწინებს მცირე მასშტაბის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და არსებულის მოწესრიგება-მოდიფიცირებას. განსაზღვრული არ არის მასშტაბური კომპლექსების მოწყობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების მომატებული საფრთხეებით ხასიათდება. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მსგავსი ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას არ ითვალისწინებს. მსგავსი საქმიანობები ძირითადად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ექვემდებარება.

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.5 ალტერნატივა 5 - „ზემო ჭინჭრიანის ეკოტურისტული ლოკაციები“

4.2.5.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ზემო ჭინჭრიანის ლოკაციაზე განხილულია ორი ქვე-ალტერნატიული უბანი, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ტერიტორიებს წარმოადგენენ. თუმცა პერსპექტივაში შესაძლებელია მათ შორის მჭიდრო ეკოტურისტული კავშირის დამყარება და ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზება.

ადგილმდებარეობა და ფართობი:

ორივე ქვე-ალტერნატივა მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში, სოფ. ზემო ჭინჭრიანის შემოგარენში:

- ალტერნატივა 5.ა. - ჩრდილოეთ უბანი - კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 440308; Y – 4619450; Z – 1420-1450. ლოკაცია მდებარეობს სოფ. ზემო ჭინჭრიანის დასახლებული ზონის აღმოსავლეთით. აღსანიშნავია, რომ ლოკაციაზე უკვე არსებობს გარკვეული სახის ტურისტული ინფრასტრუქტურა (ჭინჭრიანის ტურისტული თავშესაფარი, საპირფარეშოები, ფანჩატურები და სხვა). საკუთრივ ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარის დაფარულობის კოეფიციენტი დაბალია. ტერიტორიამდე, რთული რელიეფის პირობებში მიდის გრუნტის საავტომობილო გზა. ლოკაციის მიახლოებითი ფართობი 4,6 ჰა;



- ალტერნატივა 5.ბ. - სამხრეთი უბანი - კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 439575; Y – 4618600; Z – 1440-1490. ლოკაცია მდებარეობს ზემო ჭინჭრიანის დასახლებული ზონის სამხრეთით. ტერიტორია წარმოადგენს მდელოს ტიპის ჰაბიტატს და ხე-მცენარეული საფარის დაფარულობის კოეფიციენტი ამ შემთხვევაშიც დაბალია. ტერიტორიამდე მიდის გრუნტის საავტომობილო გზა. ლოკაციის მიახლოებითი ფართობი 8,3 ჰა.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ალტერნატივა 5.ა.-ს ფარგლებში წარმოდგენილია შედარებით რთული, ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი. საშუალოდ დახრილია სამხრეთის მიმართულებით. მიმდებარედ, აღმოსავლეთით და დასავლეთით წარმოდგენილია მცირე ზომის ხევები, რომლებიც ერთმანეთს უერთდება ლოკაციის სამხრეთ საზღვართან. მიმდებარე ფერდობები ციცაბო დახრილობისაა. ალტერნატივა 5.ბ-ს ფარგლებში წარმოდგენილია შედრებით წყნარი, ბორცვიანი რელიეფი. ტერიტორიის საერთო დახრილობა დასავლურია. ლოკაციის საზღვრის შემდგომ დახრილობა მკვეთრია - წარმოადგენს მდ. ალგეთის მარჯვენა შენაკადის აღმოსავლეთ ციცაბო ფერდობს. გეოლოგიურად აგებულია ვულკანოგენური ტერიგენული და ფლიშური ფორმაციებით. მიუხედავად რელიეფური პირობებისა განხილულ ლოკაციებზე მკვეთრად გამოხატული საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: აღნიშნულ ლოკაციებზე წარმოდგენილია ბუჩქოვანი (ძირითადად ქვე-ალტერნატივა 5.ა-ს ფარგლებში) და მდელოს (ძირითადად ქვე-ალტერნატივა 5.ბ-ს ფარგლებში) ტიპის ჰაბიტატები. ძირითადი სახეობებია ასკილი *(Rosa canina),* შავი ღვია *(Juniperus foetidissima),* ნემსიწვერა *(Geranium spp),* ისლი *(Carex spp),* დიდი კამა *(Foeniculum vulgare),* ძიგვი *(Nardus stricta)* და სხვა. ჰაბიტატების ერთიანობა დარღვეულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის და უკვე არსებული ეკოტურისტული ობიექტების (კოტეჯი, ფანჩატურები და სხვა) გავლენით. მიმდებარე ფერდობებზე წარმოდგენილია შერეული ტყის ჰაბიტატი. განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული სახეობების შეხვედრილობის ალბათობა დაბალია.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიაზე შეიძლება შეგვხდეს სხვადასხვა სახეობის ხელფრთიანები. შეშფოთების ფაქტორების გათვალისწინებით (სოფლის სიახლოვე) მსხვილი ზომის ძუძუმწოვრების შეხვედრილობის ალბათობა არ არის მაღალი. ტერიტორიაზე ნადირობის პროცესში შეიძლება შემოვიდეს რეგიონში გავრცელებული მტაცებელი ფრინველები.

არსებული კომუნიკაციები: ორივე ქვე-ალტერნატიულ ლოკაციასთან მიდის გრუნტის საავტომობილო გზა. განსაკუთრებით ჩრდილოეთ უბნის შემთხვევაში გზის მდგომარეობის გამო გადაადგილება რთულია და შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილით. სხვა საჭირო კომუნიკაციების განვითარების მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სოფ. ჭინჭრიანში მიდის ელექტროგადამცემი ხაზი და სავარაუდოდ მისი გამოყენებით შესაძლებელი იქნება ობიექტების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. თუმცა პერსპექტიულია ასევე მზის პანელების გამოყენების ალტერნატივაც. წყალმომარაგებისთვის შესაძლებელია მიმდებარედ არსებული წყაროების გამოყენება. სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის ერთადერთი ალტერნატივაა მათი შეგროვება სეპტიკურ ორმოებში. ლოკაციები არ ექცევა ინტერნეტის და მობილური ქსელის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: ლოკაციაზე უკვე არსებობს გარკვეული სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. ლოკაციის ცნობადობას ასევე ხელს უწყობს ეროვნული პარკის ერთ-ერთი ძირითადი ტურისტული ბილიკის - დაბა მანგლისი-სოფ. ჩოლიანის ტურისტული ბილიკის სიახლოვე. აქედან გამომდინარე ტურისტული ფონი მეტ-ნაკლებად მაღალია სხვა აღწერილ ლოკაციებთან შედარებით.

4.2.5.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციას გააჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი დადებითი მხარე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მდებარეობა - განლაგებულია ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში თანაბრად ხელმისაწვდომია პერიფერიულ ნაწილებში არსებული და პერსპექტიული ეკოტურისტული სერვისები, ლოკაციების სიახლოვეს გადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკოტურისტული ბილიკი.

გარდა ამისა, ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია სხვადასხვა კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობა. რაც მთავარია ორივე ქვე-ალტერნატივის ფარგლებში არსებობს საკმარისი სივრცე ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის. აქ წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნება არ არის მაღალსენსიტიური და მოთხოვნის შემთხვევაში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოება წინააღმდეგობაში არ მოდის დაცული ტერიტორიის კონსერვაციის პრინციპებთან.

თუმცა უნდა აღინიშნოს ლოკაციის სუსტი მხარეებიც. პირველ რიგში ეს არის მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან დაშორების დიდი მანძილი და საავტომობილო გადაადგილების სირთულე. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზღუდავს აღნიშნულ ლოკაციებით ბიზნესის დაინტერესების პერსპექტივებს და შედარებით მსხვილი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვიტარების შესაძლებლობას. ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს არსებულის გაუმჯობესებასა და ანალოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. ასევე გასათვალისწინებელი საკითხია სოციალურ-ეკონომიკური პირობები - ალტერნატივა 5.ბ. გამოიყენება ზაფხულის საძოვრების სახით. ლოკაციების განვითარების

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საჭირო იქნება მოსახლეობასთან კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

4.2.5.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაცია წარმოადგენს ორ ქვე-ალტერნატიულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ უბანს. თუმცა შესაძლებელია აქ განვითარდეს მრავალფეროვანი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკოტურისტული სერვისები. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციებზე გამოიყო 3 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკებზე):

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 7,1 ჰა. შემოთავაზებულია, რომ ასეთი ზონა გამოყოფილი იყოს ორ უბანზე:
  - ჩრდილოეთ უბანზე (ქვე-ალტერნატივა 5ა), ფართობით 2,5 ჰა;
  - სამხრეთ უბანზე (ქვე-ალტერნატივა 5ბ), ფართობით 4,6 ჰა.
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 5,0 ჰა. მათ შორის:
  - ჩრდილოეთ უბანზე (ქვე-ალტერნატივა 5ა), ფართობით 2,0 ჰა;
  - სამხრეთ უბანზე (ქვე-ალტერნატივა 5ბ), ფართობით 3,0 ჰა.
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით 0,7 ჰა. მათ შორის:
  - ჩრდილოეთ უბანზე (ქვე-ალტერნატივა 5ა), ფართობით 0,54 ჰა;
  - სამხრეთ უბანზე (ქვე-ალტერნატივა 5ბ), ფართობით 0,13 ჰა.

<u>სამშენებლო ზონა</u> - ტერიტორიის დაახლოებით 55,3%. ორივე ქვეალტერნატივის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები ან 5ბ ქვეალტერნატივის სამშენებლო ზონის ფარგლებშიმ ცირე ზომის რამდენიმე ნომრიანი სასტუმრო;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- ახალგაზრდული საგანმანათლებლო საბანაკე სივრცე;
- 5ბ ქვეალტერნატივის სამშენებლო ზონის ფარგლებში ტერიტორიის გამოყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ე.წ. „ქაბინ ქარებისთვის“ (მანქანა სახლები);
- და სხვა.

<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 40%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:


- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- გადასახედები და „საქანელები“;
- საბავშვო ინტერაქციულ-შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
-
- 5ა ქვეალტერნატივის ფარგლებში შესაძლებელია განხილული იყოს ე.წ. ზიპ-ლაინი“-ს მოწყობა;
- და სხვა.


<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 5,2%-ს. შეირჩა ძირითადად არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის გასწვრივ. სატრანსპორტო ზონა უზრუნველყოფს შერჩეული ლოკაციის სხვა ზონებამდე ხელსაყრელ გადაადგილებას. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს საპარკინგე სივრცეები და შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.5.3.1.


ნახაზი 4.2.5.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია


ალტერნატივა 5ა




440128
440228
440328
440428
4619575
4619375
4619175
N
ნავილნარი
84.17.31.029
84.17.32.082
84.17.31.033
ლეგენდა
საძიებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
საერანსპორტო ზონა
0
0.0275
0.055
0.11
km
1:2000

ალტერნატივა 5ბ




439464
439564
439664
439764
439864
4618815
4618615
4618415
4618215
N
84.17.32.099
84.17.32.083
84.17.31.027
84.17.32.086
ლეგენდა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.035
0.07
0.14
km
1:2000

4.2.5.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

აღნიშნული ლოკაციას კარგი კავშირი აქვს დაბა მანგლისი-სოფ. ჩოლიანის ტურისტულ ბილიკთან, რომელიც ყველაზე გრძელია და აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადის. მნიშვნელოვანია, რომ ამავე ლოკაციიდან შესაძლებელია ჩრდილოეთით, თრიალეთის ქედის თხემური ნაწილისკენ გადაადგილება და სოფ.ნამტვრიანი-კლდეკარის ციხე-სოფ. ჩოლიანის ტურისტულ ბილიკთან დაკავშირება. ამრიგად, ლოკაციას კარგი განლაგება აქვს ეროვნული პარკის ტურისტულ ბილიკებთან, სადაც მთავარი სანახაობებია იშვიათი რელიქტური მცენარეები, ლამაზი ხედები. არაერთ ადგილზე შესაძლებელია საპიკნიკე და საკარვე ადგილების განვითარება.

გარდა ამისა, შესაძლებელია სოფ. ჭინჭარიანში არსებული ეკლესიების მონახულება. კარგი პერსპექტივაა ამ ლოკაციაზე საგანმანათლებლო ბანაკის შექმნის და შესაბამისად საგანმანათლებლო ტურების მოწყობა ზემოაღნიშნულ ბილიკებზე.

4.2.5.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ბუნებრივ კომპონენტებზე ზემოქმედების პრევენციის, ასევე სოციალური საკითხების მიმართულებით. ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.6 ალტერნატივა 6 - „უგუდეთის ეკოტურისტული ლოკაცია“


4.2.6.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ნასოფლარ უგუდეთის მიმდებარედ. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 436274; Y – 4618544; Z – 1530-1550.

უგუდეთის ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის დასავლეთ ნაწილში, ნასოფლარ უგუდეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, მისგან დაახლოებით 1,0 კმ მანძილის დაშორებით. ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 1,1 ჰა-ს შეადგენს.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორია წარმოადგენს დენუდაციური რელიეფის გავრცელების ზონას, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე მოსწორებული ზედაპირები. საკუთრივ ლოკაციის საზღვრებში ტერიტორია საშუალოდ დახრილია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ჩრდილოეთის მხრიდან დახრა მკვეთრია. ამ მხარეს ლოკაციის საზღვარი სრულდება ციცაბო ფერდობის თხემური ნაწილის გასწვრივ. გეოლოგიურად ეს ზონა აგებულია უმთავრესად მეოთხეული ფუძე ლავებით - ბაზალტები, ანდეზიტ-ბაზალტები, დოლერიტები, ზოგან ნეოგენური კონტინენტური ნაფენები – ქვიშები, თიხაფიქლები, რიყნალები, ქვიშაქვები. მკვეთრად გამოხატული საშიში-გეოდინამიკური პროცესები არ აღინიშნება, თუმცა საკმაოდ დანაწევრებული რელიეფის პირობებში საინჟინრო-გეოლოგიური საკითხი ერთ-ერთ გასათვალისწინებელ საკითხს წარმოადგენს.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაციაზე ნაწილობრივ შერეული ტყის, ხოლო ნაწილობრივ მდელოს ტიპის ჰაბიტატია წარმოდგენილი. ძირითადი სახეობებია: ქართული მუხა *(Quercus iberica),* რცხილნარი *(Carpinus betulus),* თამელი *(Sorbus torminalis),* ნეკერჩხალი *(Acer laetum),* აღმოსავლური ნაძვი *(Picea orientalis),* კავკასიური სოჭი *(Abies nordmanniana),* შინდი *(Cornus mas),* მაყვალი *(Rubus spp)* შინდანწლა *(Swida australis),* წერწა *(Lonicera caucasica),* ტყის ცოცხი *(Cytisus ruthenicus),* წივანიანი *(Festuca drymeia),* მოპიტნაო *(Clinopodium vulgare),* მაჩიტა *(Campanula rapunculoides),* სათითურა *(Dactylis glomerata).* ჰაბიტატის ბუნებრიობის ხარისხი მაღალია ყველა სხვა ზემოაღწერილ ლოკაციებთან შედარებით.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: რეინჯერების გამოკითხვის მიხედვით ამ ლოკაციაზე საკმაოდ ხშირია მურა დათვის *(Ursus arctos)* შემოსვლის შემთხვევები საკვების მოპოვების მიზნით (მიმდებარედ წარმოდგენილია ხილ-კენროვანი მცენარეები). ლოკაციის დასავლეთით არსებულ ტყიან ზონაში ასევე ბევრია ევროპული შველი *(Capreolus capreolus).* ჰაბიტატის სპეციფიურობიდან გამომდინარე ეს ლოკაცია ასევე მიმზიდველი შეიძლება იყოს რეგიონში გავრცელებული მტაცებელი ფრინველებისთვის. ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი საბინადრო ადგილები არ გამოვლენილა.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორიის სიახლოვეს გადის გრუნტის საავტომობილო გზა, სადაც გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილით. საკმაოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვებია ელექტრომომარაგების და წყალმომარაგების პერსპექტივებთან დაკავშირებით. ასეთი კომუნიკაციების უახლოესი ქსელი დაშორებულია რამდენიმე ათეული კმ მანძილით. აქედან გამომდინარე ალტერნატივებად მოიაზრება მხოლოდ მიმდებარე წყაროების დაკაპტაჟება და მზის პანელების გამოყენება ელექტრომომარაგების წყაროდ. სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის აქცენტი უნდა გაკეთდეს სეპტიკურ

ორმოებზე. ტერიტორია არ არის მოქცეული ინტერნეტის და მობილური ქსელის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: ტურისტული ფონი დაბალია. ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორებისთვის ეს ადგილი ნაკლებად ცნობადია. ლოკაცია მიმზიდველი შეიძლება გახდეს ლაშქრობის და ბუნების წიაღში დასვენების მოყვარული ვიზიტორებისთვის, უმეტესად გაზაფხული-შემოდგომის პერიოდში.

4.2.6.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის მთავარ დადებით მხარედ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერიტორია და მიმდებარე არეალი გამორჩეულია თავისი უნიკალური ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემოთი. თვალწარმტაცი ხედები იშლება ლოკაციიდან რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის ჩრდილოეთით კლდეკარის უღელტეხილის, დასავლეთით და სამხრეთით ტყით დაფარულ ხეობაზე. ეს ფაქტორი ფერდობზე შეფენილი მცირე ზომის კოტეჯების, ე.წ. „გემფლინგის“ მოწყობის კარგ პერსპექტივას ქმნის, რომელსაც ექნება პანორამული ხედები სხვადასხვა მხარეს.

ალტერნატიული ლოკაციის სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია: დასახლებული ზონებიდან დიდი მანძილით დაშორება, ტერიტორიამდე საავტომობილო გადაადგილების მნიშვნელოვანი სირთულეები, კომუნიკაციების განვითარების დაბალი პერსპექტივები, საკმაოდ რთული რელიეფი და ბიომრავალფეროვნების მაღალღირებული კომპონენტები. ყოველივე ეს ზღუდავს ტერიტორიაზე მრავალფეროვანი, შედარებით მსხვილი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვიტარებას და მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებას.


4.2.6.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება


საკმაოდ მაღალი ღირებულების ტყის საფარის, რთული რელიეფის და შეზღუდული სივრცის გათვალისწინებით რეკომენდირებულია მხოლოდ მცირე ზომის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება, რომელიც ლოკალურად, მოზაიკური პრინციპით უნდა განვითარდეს, ისე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ხე-მცენარეული საფარი. ეს ადგილი შემოთავაზებულია ისეთი დამსვენებლისთვის, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ბუნების წიაღში დასვენებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია, რომ ლოკაციის უდიდეს ნაწილზე განვითარდეს რეკრეაციული ზონა, სადაც შეიძლება მოეწყოს:

- საკემპინგე სივრცეები;
- „გემფლინგი“ და მცირე ზომის „ვია-ფერატა“;
- გადასახედები - ხედი კლდეკარზე.
- საზოგადობრივი ინფრასტრუქტურა (საპირფარეშოები და სხვა).

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.6.3.1.

ნახაზი 4.2.6.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




436188
436288
436388
N
ჩოლმანი
4618535
84.17.31.033
ლეგენდა
რეკრეაციული ზონა
0
0.02
0.04
0.08
km
1:2000
4618335

4.2.6.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ტერიტორიის სიახლოვეს გადის ალგეთის ეროვნული პარკის მნიშვნელოვანი ტურისტული ბილიკები. ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ გადაადგილდნენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ალგეთის ხეობის დაბალი ნიშნულებისკენ და შემდგომ მანგლისში; დაბა მანგლისის მიმართულებით შედარებით მაღალ ნიშნულებზე, სოფლების ნაპილნარი, ზემო ჭინჭრიანი და ნამტვრიანის გავლით. ასევე შესაძლებელია დასავლეთით, სოფ. ჩოლიანის მიმართულებით გადაადგილება. ვიზიტორებისთვის ინტერესის მთავარი საგანია ლაშქრობა, კემპინგი, თვალწარმტაცი ხედები.

4.2.6.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.7 ალტერნატივა 7 - „თბილისი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორია

ადგილობრივ ადმინისტრაციასთან კონსულტაციის საფუძველზე და საველე სამუშაოების პროცესში ალგეთის ეროვნული პარკის საზღვრებში არ გამოკვეთილა ისეთი ლოკაცია, სადაც შეიძლება აქცენტი გაკეთებულიყო შედარებით დიდი ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის (რამდენიმე ადგილიანი სასტუმრო ან კოტეჯების ერთობლიობა, კვების და სხვა ობიექტები) მოწყობაზე. ყველა ზემოთ აღწერილ ლოკაციებს გააჩნია სხვადასხვა შემზღუდველი ფაქტორები, მათ შორის აღსანიშნავია სირთულეები დამაკმაყოფილებელი საავტომობილო გზის არარსებობის, რელიეფური პირობების და შეზღუდული სივრცის, დასახლებული ზონიდან დაშორების და კომუნუკაციების განვითარების არახელსაყრელი გარემოს, მაღალი სიმაღლებრივი მდებარეობისა და შესაბამისად ტურისტული სეზონის შეზღუდვები ხანგრძლივობის თვალსაზრისით და ა.შ.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებების გამო ყველა ზემოთ აღწერილ ლოკაციებზე შემოთავაზებულია, რომ აქცენტი გაკეთდეს არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა

და მცირედით გაფართოებაზე, ან შეზღუდული რაოდენობის მცირე ზომის თავშესაფრების მოწყობაზე. ესეთი ადგილები ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნისთვის, რომელიც არამხოლოდ ლაშქრობის მოყვარულ, არამედ მრავალფეროვანი სერვისის მაძიებელ ვიზიტორებზეც იქნება გათვლილი, ნაკლებად მიმზიდველია.

ადგილობრივ ადმინისტრაციასთან კონსულტაციების საფუძველზე და საველე სამუშაოების პროცესში ეროვნული პარკის საზღვრებში მოძიებული იქნა მხოლოდ ერთი ლოკაცია თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის სიახლოვეს, რომელიც შედარებით დიდი ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის, ასევე ალტერნატიული ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის მოსაწყობად იქნება ხელსაყრელი. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის დიდი ნაწილი არ არის მოქცეული დაცული ტერიტორიის საზღვრებში, თუმცა შემოგარენში არსებული ტყით დაფარული ტერიტორიები დაცულ ტერიტორიებს წარმოადგენს და აქ შესაძლებელია განვითარდეს ამ კონკრეტული ლოკაციის რეკრეაციული ზონა.

4.2.7.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 444708; Y – 4614153; - Z – 1440-1470.

ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით არსებულ ფერდობზე. ტერიტორია დაბა მანგლისიდან დაშორებულია 3,5 კმ მანძილით. ტერიტორიის რელიეფი და მცენარეული საფარით ნაკლები დაფარულობა საშუალებას იძლევა განვიტარდეს მრავალფეროვანი ტურისტული ობიექტები. ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 4,7 ჰა-ს შეადგენს.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია. გაბატონებულია საშუალო, მიმდებარედ ზოგან ციცაბო ფერდობები. ტერიტორიის ზედაპირი დახრილია სამხრეთი მიმართულებით. ეს ზონა აგებულია ცარცული და მესამეული ტუფბრექჩიებით, ტუფებით, მერგელებით, კირქვებით, ქვიშაქვებით, თიხებით, აგრეთვე ვულკანოგენური, იშვიათად ტერიგენული ნაფენებით. საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოხატული ნიშნები არ ფიქსირდება, თუმცა საინჟინრო-გეოლოგიური სტაბილურობა ერთ-ერთი გასათვალისწინებელი საკითხია ლოკაციის შემდგომი განვითარების გადაწყვეტილების შემთხვევაში.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ეს ტერიტორია მდელოს ტიპის ჰაბიტატს წარმოადგენს, რომელიც შემოსაზღვრულია შერეული ტყეებით. გამოიყენება საძოვრად. შესაბამისად ჰაბიტატის ტრანსფორმაციის ხარისხი შესამჩნევია. ლოკაციაზე გავრცელებული ძირითადი სახეობებია: ცისთვალა *(Scilla siberica),* ტყის ფურისულა *(Primula woronowii),* სურნელოვანი ია *(Viola odorata),* ტყიურა (*Laser trilobum).* მაყვალი *(Rubus spp),* ნემსიწვერა *(Geranium spp),* ძიგვი *(Nardus stricta)* და სხვა.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ლოკაციაზე შემაწუხებელი ფაქტორი საკმაოდ დიდია, საძოვრად გამოყენების და მიმდებარედ საავტომობილო გზის არსებობის გამო. შესაბამისად ტერიტორიაზე მსხვილი ზომის, განსაკუთრებულ დაცვას

დაქვემდებარებული ცხოველთა სახეობების მოხვედრის ალბათობა დაბალია. ძირითადად აქ შეიძლება შეგვხდეს ადამიანის საქმიანობას მეტ-ნაკლებად შეგუებული მცირე ზომის ფრინველები და ქვეწარმავლები.

არსებული კომუნიკაციები: ლოკაციის სამხრეთით, დაახლოებით 0,4 კმ მანძილის დაშორებით გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - თბილისი-წალკა-ნინოწმინდა. ცენტრალური გზიდან ტერიტორიამდე მიდის გრუნტის საავტომობილო გზა. მეტ-ნაკლებად ხელსაყრელია ელექტროენერგიით მომარაგების შესაძლებლობა - ტერიტორიის სამხრეთით, დაახლოებით 1 კმ რადიუსში გადის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. წყალმომარაგება შესაძლებელია ლოკაციის დასავლეთით არსებულ ხეობაში გამდინარე წყაროების დაკაპტაჟების გზით. ასევე შესაძლებელია განხილული იყოს ჭაბურღილების მოწყობაც. სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის ოპტიმალური ვარიანტია სეპტიკური ორმოების მოწყობა, თუმცა ასევე შესაძლებელია ასეთი წყლების გაყვანა სამხრეთით არსებული ხევების მიმართულებით, რომლებიც დაცული ტერიტორიის საზღვრებს სცდება. ტერიტორია მოქცეულია ინტერნეტის და მობილური ქსელის დაფარვის ზონაში. საერთო ჯამში ამ ლოკაციისთვის საჭირო კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობა ყველაზე ხელსაყრელია.



ტურისტული ფონი: დღეისათვის ამ ლოკაციაზე ტურისტული ფონი დაბალია. თუმცა ცენტრალური საავტომობილო გზის, ასევე ალგეთის დაცული ტერიტორიების ბილიკის სიახლოვე ტურისტული ფონის გაზრდის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

4.2.7.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციას მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილ ალტერნატივებთან შედარებით. პირველ რიგში ეს არის ხელსაყრელი მდებარეობა ცენტრალურ საავტომობილო გზასთან. ასევე უნდა აღინიშნოს კომუნიკაციების განვითარების ყველაზე კარგი შესაძლებლობა. არსებობს საკმარისი სივრცე მრავალფეროვანი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ხე-მცენარეული საფარით დაფარულობის კოეფიციენტი დადებითად შეიძლება შეფასდეს. საერთო ჯამში აღნიშნულ ლოკაციას გააჩნია ყველაზე კარგი პოტენციალი კერძო ბიზნესის დაინტერესების და შედარებით დიდი ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით.

ლოკაციის ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ მისი ძირითადი ნაწილი ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ არის. თუმცა ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია ტყიანი ლანდშაფტით, რომელიც დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს. შესაბამისად ლოკაციაზე სამშენებლო ზონად შეიძლება გამოიყოს ცენტრალური უბანი, ხოლო ეროვნული პარკის საზღვრებში შემავალი პერიფერიული ადგილები მოეწყოს როგორც რეკრეაციული ზონები. ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც დაცულ ტერიტორიას არ წარმოადგენს, გამოიყენება საძოვრებად. შესაბამისად საჭირო იქნება მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და მათი ინტერესების გათვალისწინება.

მიუხედავად შედარებით დამაკმაყოფილებელი რელიეფური პირობებისა, საყურადღებო საკითხია საინჟინრო-გეოლოგიური გარემო. შემდგომი კვლევის ფარგლებში საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

4.2.7.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ეს ლოკაცია ყველაზე ხელსაყრელია შედარებით დიდი ზომის სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვიტარებისთვის. ამავე დროს ამ ლოკაციის დიდი ნაწილი არ ექცევა ეროვნული პარკის საზღვრებში, ხოლო აქ წარმოდგენილი ბუნებრივი კომპონენტები შედარებით დაბალი ღირებულებით ხასიათდება.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 2 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხ. რუკაზე):

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 4,0 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,7 ჰა;

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 85,5%. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:


- მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები ან შედარებით დიდი ზომის, რამდენიმე ნომრიანი სასტუმრო;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- საბავშვო ინტერაქციულ-შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- საპიკნიკე სივრცეები;
- ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვის სივრცეები;
- და სხვა.


სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 14,5%-ს. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს:

- საპარკინგე სივრცეები და შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- ველობილიკები.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.7.3.1.

ნახაზი 4.2.7.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




444546
444646
444746
444846
4614307
4614107
4613907
N
84.17.31.033
84.18.33.216.001
84.00.249
84.18.32.144.001
18.31.215.001
ლეგენდა
სამშენებლო ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.025
0.05
0.1
km
1:2000

4.2.7.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ტერიტორიის მდებარეობის გამო შესაძლებელი იქნება ვიზიტორებისთვის არაერთი ტურისტული მარშრუტის შეთავაზება. ლაშქრობის მოყვარულ ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ლოკაციის სიახლოვეს გამავალი ერთ-ერთი ბილიკით, პოლიანა-დაბა მანგლისის მიმართულებით. ეს მარშრუტი ასევე უკავშირდება ალგეთის ხეობაში და უფრო ჩრდილოეთით გამავალ ბილიკების ქსელს. შესაძლებელია რამდენიმედღიანი საფეხმავლო ან საცხენოსნო ტურების შეთავაზება.

საავტომობილო ტრანსპორტით ლოკაცია დაუკავშირდება როგორც დაბა მანგლისს, ასევე დასავლეთით არსებულ მცირე ზომის ტბებს, სადაც შესაძლებელია საკემპინგე ადგილებით სარგებლობა. ეს ლოკაცია ასევე ყველაზე კარგ განლაგებაში იმყოფება დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში არსებულ ბუნების ძეგლებთან. სურვილის შემთხვევაში ვიზიტორები საავტომობილო ტრანსპორტით გადაადგილდებიან ბუნების ძეგლების მიმართულებით და მათ შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აქ არსებული ტურისტული სერვისებით.

4.2.7.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.8 ალტერნატივა 8 - „მამიდას ქვის ეკოტურისტული ლოკაცია“

ეს ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს ეროვნული პარკის სამხრეთ ნაწილის სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ (დაცული ტერიტორიის საზღვარს გარეთ), მიახლოებითი კოორდინატები: (UTM WGS-84. Zone - T38): X – 442266; Y – 4614642; Z – 1810-1815.

ამ ლოკაციას გააჩნია მეტ-ნაკლებად მაღალი ცნობადობა ლაშქრობის მოყვარული ვიზიტორებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მიმზიდველია, როგორც საპიკნიკე და საკარვე ადგილი. ასევე გამოირჩევა ლამაზი ვიზუალურ-ლანდშაფტური ხედებით. თუმცა ლოკაციას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები, რაც ზღუდავს შედარებით მნიშვნელოვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების და კერძო ბიზნესის დაინტერესების შესაძლებლობას, მათ შორის:

- რთული რელიეფი და მკაცრი კლიმატური პირობები;
- მისასვლელი გზის ძალზედ რთული მდგომარეობა. გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილით მხოლოდ ხელსაყრელ სეზონებზე;
- კომუნიკაციების არარსებობა და მისი შემდგომი განვითარების შესღუდული პირობები;
- კერძო საკუთრებაზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მაღალი ალბათობა (მისასვლელი გზები გადის მოსახლეობის კერძო ნაკვეთებზე). ასევე ეს არეალი ინტენსიურად გამოიყენება საძოვრებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ეს ლოკაცია, პერსპექტივაში როგორც შედარებით მნიშვნელოვანი ეკოტურისტული სერვისების მიმწოდებელ ადგილად არ განიხილება. ამ ლოკაციაზე პერსპექტიულია მხოლოდ მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორიცაა საკარვე ადგილების გამოყოფა, საცეცხლურების და გადასახედების მოწყობა და ა.შ.

4.2.9 ალტერნატივა 9 - „ბირთვისის ბუნების ძეგლის ეკოტურისტული ლოკაცია“

ბირთვისის ბუნების ძეგლის ეკოტურისტულ ლოკაციაზე განიხილება სამი ქვე-ალტერნატივა:

- ალტერნატივა 9ა - მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ჯორჯიაშვილის მიმდებარედ. კოორდინატები: (UTM WGS-84. Zone - T38): X – 461666; Y – 4606196; Z – 930-990.
- ალტერნატივა 9ბ - მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ამლივის მიმდებარედ. კოორდინატები: (UTM WGS-84. Zone - T38): X – 461280.; Y – 4607530; Z – 1060-1100.
- ალტერნატივა 9გ - მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ამლივის მიმდებარედ. კოორდინატები: (UTM WGS-84. Zone - T38): X – 461063; Y – 4607432; Z – 1120-1200.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლოკაციები 2021 წლის 8 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმადმართვის უფლებით, 45 წლიანი ვადით გადაეცა შპს „ეკო ტური“-ს. მეიჯარე კომპანიას ვალდებულება აქვს აღებული ტურისტული მომსახურების გაწევის განხორციელების მიწნით მოაწყოს დამატებითი ინფრასტრუქტურა. დღეისათვის მეიჯარესა და ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმების დეტალები ზუსტდება და ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი აქტიურ ფაზაშია.

4.2.10 ალტერნატივები 10 და 11

ზემოთ აღწერილი ლოკაციების გარდა, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების რეკომენდაციით საველე გასვლების დროს ეროვნული პარკის სიახლოვეს ნანახი იქნა კიდევ ორი ალტერნატიული ვარიანტი:

- ალტერნატივა 8 - „ქვემო ჭინჭრიანის ეკოტურისტული ლოკაცია“. მდებარეობს ეროვნული პარკის დასავლეთ ნაწილში, სოფ. ქვემო ჭინჭრიანის სამხრეთ-დასავლეთით. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 439324; Y – 4616441; Z – 1350-1460.
- ალტერნატივა 9 - „პოლიანის ეკოტურისტული ლოკაცია“. მდებარეობს ეროვნული პარკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 444446; Y – 4616191; Z – 1240-1340.

ორივე ლოკაცია უმეტესწილად დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ მდებარეობს. პერსპექტივაში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მათ არ გააჩნიათ რაიმე გამოკვეთილი უპირატესობა და პრაქტიკულად ვერ აკმაყოფილებს ცხრილში 4.2.1. მოცემულ კრიტერიუმებს. მთავარი ნაკლოვანებებია მისასვლელი გზების არარსებობა ან ძალზედ ცუდი მდგომარეობა, ასევე საჭირო კომუნიკაციების განვითარების მნიშვნელოვანი შეზღუდვები, დაბალი ტურისტული ცნობადობა, ბოლიკებთან არახელსაყრელი განლაგება და ა.შ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ეს ლოკაციები თავიდანვე უგულვებელყოფილი იქნა და შემდგომში, მათი განვითარების კონცეფციის შემუშავება საჭიროდ არ ჩაითვალა.

4.3 ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასება

ტურისტული გამტარუნარიანობის გათვალისწინება აუცილებელია შერჩეულ ლოკაციებზე დეტალური პროექტების შემუშავების პროცესში. ეს მნიშვნელოვანია, როგორც ადმინისტრაციისთვის, რათა მან საჭიროებისამებრ შეუმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონკრეტული რეგულაციები, ასევე ინვესტორისთვის, რათა სწორად განსაზღვროს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების მახასიათებლები. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში მოხდა ტურისტული გამტარუნარიანობის წინასწარი შეფასება.


ტურისტული გამტარუნარიანობის წინასწარი შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაციის“ მიერ მოწოდებული ეკოტურისტული ბილიკების სქემა (იხ. პარაგრაფი 3.1.11.). მოწოდებული სქემის გათვალისწინებით და ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. ამის მიზეზებია ბილიკების დიდი სიგრძე და გადაადგილების მარშრუტების ალტერნატივების სიმრავლე. გარდა ამისა, ამ სქემის მიხედვით გამტარუნარიანობის შეფასება არ იქნება ინფორმატიული და მომავალში გამოსადეგი როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე პოტენციური ინვესტორებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაციის“ მიერ მოწოდებული ტურისტული ბილიკების სქემის სეგმენტური დაყოფა. ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასებისთვის ეკოტურისტული ბილიკების სეგმენტური დაყოფის სქემა მოცემულია ნახაზზე 4.3.1., ხოლო ცხრილში 4.3.1. წარმოდგენილია ამ სეგმენტების აღწერა.

ცხრილი 4.3.1. ეკოტურისტული ბილიკების სეგმენტური დაყოფა ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასებისთვის

№	ბილიკის დასახელება (ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაციის“ მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით)	სეგმენტის № და დასახელება	ბილიკის მიახლ. სიგრძე, კმ	მახასიათებელი (წრფივი ან წრიული)	მარშრუტის მიახლ. სიგრძე, კმ	ძირითადი კავშირი შერჩეულ ლოკაციებთან (ალტ. ლოკაციის №№)
1	დაბა მანგლისი-სოფ. ჩოლიანის ტურისტული ბილიკი	1.1. მანგლისი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	2,3	წრფივი	4,6	4
		1.2. მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი - ნამტვრიანი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	12,0	წრიული	12,0	4
		1.3. ნამტვრიანი - ზემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	14,0	წრფივი	28,0	4, 5ა, 5ბ
		1.4. ნამტვრიანი - ქვემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	15,0	წრფივი	30,0	4, 6
		1.5. ნაპილნარი-უგუდეთი	7,0	წრიული	7,0	6
		1.6. უგუდეთი-ჩოლიანი	3,5	წრფივი	7,0	6
2	სოფ.ნამტვრიანი-კლდეკარის ციხე-სოფ. ჩოლიანის ტურისტული ბილიკი	2.1. ნამტვრიანი-თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ზემო ჭინჭრიანი	12,0	წრფივი	24,0	4. 5ა, 5ბ
		2.2. თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ჩოლიანი	11,0	წრფივი	22,0	5ა, 5ბ, 6
3	დაბა მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისის ტურისტული ბილიკი	3.1. მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი	11,0	წრიული	11,0	1, 2, 3, 4
4	დაბა მანგლისი-ჯვრისხევი-მამიდას ქვის ტურისტული ბილიკი (მამიდას ქვის ბილიკი)	4.1. დაბა მანგლისი-ჯვრისხევი	3,0	წრფივი	6,0	4, 7
		4.2. ჯვრისხევი-მამიდას ქვა-ჯვრისხევი	9,0	წრიული	9,0	4, 7
5	მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანის ტურისტული ბილიკი	5.1. მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანი	14,0	წრფივი	28,0	7
6	სამშვილდეს ბუნების ძეგლის ბილიკი	6.1. სამშვილდეს ბუნების ძეგლის ბილიკი	18,0	წრფივი	18,0	-

ნახაზი 4.3.1. ეკოტურისტული ბილიკების სეგმენტური დაყოფის სქემა ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასებისთვის



ტურისტული გამტარიანობის გაანგარიშება განხორციელდა მეთოდოლოგიით (Methodology for Estimating Protected Area Carrying Capacity, Cifuentes, 1992), რომელიც ითვალისწინებს სამ დონეს: ფიზიკური გამტარიანობა (ფგ), რეალური გამტარიანობა (რგ) და ეფექტური გამტარიანობა (ეგ). თითოეული დონე წარმოადგენს წინა დონის დაზუსტებულ შეფასებას, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორებს. ამ დონეებს შორის დამოკიდებულება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგნაირად:

$$ფგ > რგ \geq ეგ$$

გამტარუნარიანობის შესაფასებლად გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- ვიზიტორები გადაადგილდებიან ერთი მიმართულებით ბილიკის გასწვრივ. წრფივი ბილიკების შემთხვევაში ბრუნდებიან უკან იმავე მარშრუტით;
- ვიზიტორს თავისუფლად გადაადგილებისთვის მინიმალური სივრცე სჭირდება და ალგეთის დაცული ტერიტორიებისთვის ეს არის 3 გრძივი მეტრი.

ფიზიკური გამტარიანობა (ფგ):

ფიზიკური გამტარიანობა (ფგ) არის ვიზიტორთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ფიზიკურად შეიძლება მოთავსდეს განსაზღვრულ სივრცეში, კონკრეტულ დროში და გამოხატულია შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$ფგ = A \times V/a \times Rf$$

სადაც,

- A არის ხელმისაწვდომი ფართობი საზოგადოებრივი გამოყენებისთვის, ბილიკების სიგრძის და საშუალო სიგანის (1 მ) გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი მიახლოებით შეადგენს: (იხ. ცხრილი 4.3.2.):

ცხრილი 4.3.2.

სეგმენტი №	სეგმენტის დასახელება	ბილიკის მიახლ. სიგრძე, მ	ბილიკის მიახლ. სიგანე, მ	A -ფართობი, მ^2.
1.1.	მანგლისი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	2300	1	2300
1.2.	მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი - ნამტვრიანი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	12000	1	12000
1.3.	ნამტვრიანი - ზემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	14000	1	14000
1.4.	ნამტვრიანი - ქვემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	15000	1	15000
1.5.	ნაპილნარი-უგუდეთი	7000	1	7000
1.6.	უგუდეთი-ჩოლიანი	3500	1	3500
2.1.	ნამტვრიანი-თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ზემო ჭინჭრიანი	12000	1	12000
2.2.	თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ჩოლიანი	11000	1	11000
3.1.	მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი	11000	1	11000
4.1.	დაბა მანგლისი-ჯვრისხევი	3000	1	3000
4.2.	ჯვრისხევი-მამიდას ქვა-ჯვრისხევი	9000	1	9000
5.1.	მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანი	14000	1	14000
6.1.	სამშვილდეს ბუნების ძეგლის	18000	1	18000

	ბილიკი			
ჯამი				131 800

- V/a არის ვიზიტორი/დაკავებული ფართობი. როგორც აღინიშნა ერთ ვიზიტორის თავისუფლად გადაადგილებისთვის მინიმალური სივრცედ განსაზღვრულია 3 გრძივი მეტრი და ერთი ვიზიტორისთვის საჭირო ფართობი არის 3 მ^2. შესაბამისად V/a = 1 / 3 ≈ 0,34 (წრიული ბილიკებისთვის).

  რაც შეეხება წრფივ ბილიკებს. როგორც აღნიშნა ჩაითვალსა, რომ ვიზიტორები უკან ბრუნდებიან იმავე მარშრუტით, შესაბამისად თავისუფლად გადაადგილებისთვის მინიმალური სივრცედ ამ შემთხვევაში აღებულია 5 მ^2. შესაბამისად V/a = 1 / 5 ≈ 0,2 (წრფივი ბილიკებისთვის).

- Rf არის ბრუნვის ფაქტორი (დღეში დასაშვები ვიზიტების რაოდენობა). Rf გამოითვლება შემდეგნაირად:

  Rf = დაცული გახსნის პერიოდი / თითო ვიზიტის საშუალო დრო

  ალგეთის დაცული ტერიტორიების ბილიკების სპეციფიკის გათვალისწინებით Rf კოეფიციენტად აღებულია 1.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ბილიკების სეგმენტების მიხედვით ფიზიკური გამტარუნარიანობა შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.3.).

ცხრილი 4.3.3.

სეგმენტი №	სეგმენტის დასახელება	A - ფართობი, მ^2.	V/a	Rf	**ფგ - ვიზიტორი დღეში**
1.1.	მანგლისი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	2300	0,2	1	460
1.2.	მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი - ნამტვრიანი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	12000	0,34	1	4080
1.3.	ნამტვრიანი - ზემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	14000	0,34	1	4760
1.4.	ნამტვრიანი - ქვემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	15000	0,2	1	3000
1.5.	ნაპილნარი-უგუდეთი	7000	0,34	1	2380
1.6.	უგუდეთი-ჩოლიანი	3500	0,2	1	700
2.1.	ნამტვრიანი-თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ზემო ჭინჭრიანი	12000	0,2	1	2400
2.2.	თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ჩოლიანი	11000	0,2	1	2200
3.1.	მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი	11000	0,34	1	3740
4.1.	დაბა მანგლისი-ჯვრისხევი	3000	0,2	1	600
4.2.	ჯვრისხევი-მამიდას ქვა-ჯვრისხევი	9000	0,34	1	3060
5.1.	მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანი	14000	0,2	1	2800
6.1.	სამშვილდეს ბუნების ძეგლის	18000	0,2	1	3600

	ბილიკი				
ჯამი					**33780**

რეალური გამტარიანობა (რგ):

რეალური გამტარიანობა (რგ) არის ვიზიტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა, მას შემდეგ, რაც მაკორექტირებელი (ანუ შემცირების) ფაქტორები (Cf), რომლებიც გამომდინარეობს დაცული ტერიტორიების კონკრეტული მახასიათებლებიდან, გათვალისწინებული იქნება ფიზიკურ გამტარიანობასთან (ფგ) მიმართებით. ეს მაკორექტირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს ბიოფიზიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა. რგ გაანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რგ} = \text{ფგ} \times ((100 - Cf1) / 100) \times ((100 - Cf2) / 100) \times \ldots\ldots \times ((100 - Cfn) / 100)$$

მაკორექტირებელი ფაქტორები (Cf) მჭიდროდ არის დაკავშირებული დაცული ტერიტორიების სპეციფიკურ პირობებთან და მახასიათებლებთან. ისინი გამოხატულია პროცენტული თვალსაზრისით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$Cf = M_l / M_t \times 100$$

სადაც,

- M_l არის ცვლადის შემზღუდველი სიდიდე, ხოლო M_t არის ცვლადის მთლიანი სიდიდე.

ჩვენს შემთხვევაში მაკორექტიორებელ ფაქტორებად გათვალისწინებულია:

- არახელსაყრელი ამინდი;
- ხელმისაწვდომობა - რელიეფი და ეროზიული პროცესები;
- ველური ბუნების შეშფოთება;
- სოციალური ფაქტორები (მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სათიბ-საძოვრად გამოყენება, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა და სხვ.)

<u>არახელსაყრელი ამინდის ფაქტორი:</u>

არახელსაყრელი ამინდის მაკორექტირებელი კოეფიციენტი აღებულია დაბა მანგლისის, ქ. წალკის და ქ. თეთრიწყაროს მეტეოპირობების მონაცემების ანალიზის საფუძველზე (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08). დოკუმენტის ანალიზის საფუზველზე მიჩნეულია, რომ ალგეთის ეროვნული პარკის ჩრდილო და სამხრეთ პერიფერიულ ნაწილებში და მაღალ ნიშნულებზე გამავალ ბილიკებზე ამინდის გამო გადაადგილების შეზღუდვა შეიძლება 280 დღე გაგრძელდეს, ეროვნული პარკის ცენტრალურ ნაწილში და და დაბალ ნიშნულებზე (მათ შორის ალგეთის ხეობა) გამავალი ბილიკებისთვის - 250, ხოლო სამშვილდის ბუნების ძეგლის ბილიკზე - 230 დღე. შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1.1; 1.4; 3.1 და 4.1. - $Cf_{\text{ამინდი}} = 250 / 365 \times 100 = 68,5\%$;
- სეგმენტებისთვის 1.2; 1.3; 1.5; 1,6; 2.1; 2.2; 4.2 დ 5.1. - $Cf_{\text{ამინდი}} = 280 / 365 \times 100 = 76,7\%$;
- სეგმენტისთვის 6.1. - $Cf_{\text{ამინდი}} = 230 / 365 \times 100 = 63,0\%$.

<u>ხელმისაწვდომობა - რელიეფი და ეროზიული პროცესების ფაქტორი:</u>

ეს ფაქტორი დაკავშირებულია ხელმისაწვდომიბის სირთულის ხარისხთან, ბილიკის დახრილობის და ეროზიის გამო, რომელსაც ვიზიტორები განიცდიან გადაადგილებისას. ამ მხრივ გამოსარჩევია ზედა გადასასვლელი ბილიკი და სხვა, შედარებით რთული რელიეფის ფარგლებში გამავალი სეგმენტები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უხეში შეფასებით განსაზღვრულია ხელმისაწვდომობის კოეფიციენტები, რაც შეადგენს:

- სეგმენტებისთვის 1.1; 3.1; 4.1 და 5.1. - $Cf_{\text{ხელმისაწვდომობა}} = 35\%$;
- სეგმენტებისთვის 1.4; 1.5; 1.6; 4.2; და 6.1. - $Cf_{\text{ხელმისაწვდომობა}} = 50\%$;
- სეგმენტებისთვის 1.2 და 1.3 და - $Cf_{\text{ხელმისაწვდომობა}} = 65\%$

- და სეგმენტისთვის 2.1; 2.2 - $Cf_{ხელმისაწვდომობა}$ = 80%

<u>ველური ბუნების შეშფოთების ფაქტორი:</u>

ველური ბუნების შეშფორების ფაქტორის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ალგეთის დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი ფაუნის მგრძნობიარე პერიოდი, რაც უხეში შეფასებით: სახელმწიფო ნაკრძალის სიახლვეს გამავალი ბილიკებისთვის 3 თვე (აპრილიდან ივნისის პერიოდი), ხოლო სხვა ტერიტორიებისთვის 2 თვეა აღებული. შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1.1; 1.4; 1.5; 1.6; 3.1 და 4.1.- $Cf_{ველური ბუნება}$ = 2 / 12 x 100 = 16,7%
- სეგმენტებისთვის 1.2; 1.3; 2.1; 2.2; 4.2; 5.1 და 6.1- $Cf_{ველური ბუნება}$ = 3 / 12 x 100 = 25%

<u>სოციალური ფაქტორები</u>

როგორც ზემოთ აღინიშნა ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსებით. მათ შორის ტყის არამერქნული პროდუქტებით, სათიბ-საძოვარი ტერიტორიებით და სხვ. ამ მხრივ გამოსარჩევია დაბა მანგლისის სიახლოვეს არსებული ტყის ჰაბიტატები. ასევე მდელოს ჰაბიტატები სამხრეთ და ჩრდილოეთ პერიფერიულ ნაწილებში, რაც გამოყენებულია სათიბ საძოვრად. უხეში შეფასებით აღებულია, რომ უმეტესი სეგმეტისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის აქტიური პერიოდი დაახლოებით 2 თვეა, ხოლო სოციალური თვალსაზრისით ნაკლებად დატვირთული არეებისთვის - 1 თვე. შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1.1; 1.4; 1.5; 1.6; 2.1; 3.1; 4.1; 4.2 და 5.1.- $Cf_{ველური ბუნება}$ = 2 / 12 x 100 = 16,7%
- სეგმენტებისთვის 1.2; 1.3; 2.2 და 6.1. - $Cf_{ველური ბუნება}$ = 1 / 12 x 100 = 8,3%

ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობების გათვალისწინებით რეალური გამტარუნარიანობა (რგ) შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.4.):

ცხრილი 4.3.4.

სეგმენტი №	დასახელება	ფგ - ვიზიტორი დღეში	Cf ამინდი (%)	Cf ხელმისაწვ. (%)	Cf ბიომრ. (%)	Cf სოციალ. (%)	**რგ - ვიზიტორი დღეში**
1.1.	მანგლისი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	460	68,5	35	16,7	16,7	**65**
1.2.	მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი - ნამტვრიანი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	4080	76,7	65	25	8,3	**229**
1.3.	ნამტვრიანი - ზემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	4760	76,7	65	25	8,3	**267**
1.4.	ნამტვრიანი - ქვემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	3000	68,5	50	16,7	16,7	**328**
1.5.	ნაპილნარი-უგუდეთი	2380	76,7	50	16,7	16,7	**192**

1.6.	უგუდეთი-ჩოლიანი	700	76,7	50	16,7	16,7	**57**
2.1.	ნამტვრიანი-თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ზემო ჭინჭრიანი	2400	76,7	80	25	16,7	**70**
2.2.	თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ჩოლიანი	2200	76,7	80	25	8,3	**71**
3.1.	მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი	3740	68,5	35	16,7	16,7	**531**
4.1.	დაბა მანგლისი-ჯვრისხევი	600	68,5	35	16,7	16,7	**85**
4.2.	ჯვრისხევი-მამიდას ქვა-ჯვრისხევი	3060	76,7	50	25	16,7	**223**
5.1.	მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანი	2800	76,7	35	25	16,7	**265**
6.1.	სამშვილდეს ბუნების ძეგლის ბილიკი	3600	63,0	50	25	8,3	**458**
ჯამი							**2841**

ეფექტური (დასაშვები) გამტარიანობა (ეგ):

ეფექტური ანუ დასაშვები გამტარუნარიანობა ეს არის ვიზიტორების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც დაცულ ტერიტორიას შეუძლია მიიღოს ადგილობრივი ადმინისტრაციის მართვის შესაძლებლობების (MC) გათვალისწინებით. ეფექტური გამტარუნარიანობა გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$ეგ = რგ \times MC$$

სადაც,

- MC არის ადგილობრივი ადმინისტრაციის მენეჯმენტის შესაძლებლობა (პერსონალი, აღჭურვილობა, ინფრასტრუქტურა) და განისაზღვრება ოპტიმალური მართვის შესაძლებლობების პროცენტულად, შემდეგი ფორმულით:

$$MC = (100 - Fm) / 100$$

სადაც,

Fm არის მენეჯმენტის კორექტირების ფაქტორი და გამოიხატება ფორმულით:

$$Fm = (Imc - Amc) / Imc \times 100$$

სადაც,

Imc არის იდეალური მართვის უნარი, ხოლო Amc რეალური მართვის უნარი (ხელმისაწვდომია).

პირობითად იდეალური მართვის უნარი შეიძლება შევაფასოთ 100 ქულით. მაშინ, მიახლოებითი შეფასებით რეალური მართვის უნარი (ალგეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის ანალიზის, ადგილობრივი ადმინისტრაციის გამოკითხვის და ადგილზე სიტუაციის შეფასების გათვალისწინებით) შეადგენს 50 ქულას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

ყველა სეგმენტებისთვის Fm = (100-50) / 100 x 100 = 50%

შესაბამისად:

MC = (100-50) / 100 = 0,5

ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობების გათვალისწინებით ეფექტური გამტარუნარიანობა (ეგ) შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.5.):

ცხრილი 4.3.5.

სეგმენტი №	სეგმენტის დასახელება	რგ - ვიზიტორი დღეში	MC	**ეგ - ვიზიტორი დღეში**
1.1.	მანგლისი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	65	0,5	33
1.2.	მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი - ნამტვრიანი - მდინარეების ალგეთის და მართალხევის შესართავი	229	0,5	114
1.3.	ნამტვრიანი - ზემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	267	0,5	133
1.4.	ნამტვრიანი - ქვემო ჭინჭრიანი-ნაპილნარი	328	0,5	164
1.5.	ნაპილნარი-უგუდეთი	192	0,5	96
1.6.	უგუდეთი-ჩოლიანი	57	0,5	28
2.1.	ნამტვრიანი-თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ზემო ჭინჭრიანი	70	0,5	35
2.2.	თრიალეთის ქედის თხემური ნაწილი-ჩოლიანი	71	0,5	35
3.1.	მანგლისი-თხინვალა-ალგეთის ხეობა-დაბა მანგლისი	531	0,5	266
4.1.	დაბა მანგლისი-ჯვრისხევი	85	0,5	43
4.2.	ჯვრისხევი-მამიდას ქვა-ჯვრისხევი	223	0,5	111
5.1.	მამიდას ქვა-ელიას ეკლესია-ჩოლიანი	265	0,5	132
6.1.	სამშვილდეს ბუნების ძეგლის ბილიკი	458	0,5	229
ჯამი				**1420**

დასკვნა:

წინასწარი შეფასებით დადგინდა, რომ ალგეთის დაცული ტერიტორიების (მათ შორის სამშვილდეს ბუნების ძეგლი) რეალური ტურისტული ტურისტული გამტარუნარიანობა შეადგენს 2841 ვიზიტორს დღეში, ხოლო ადმინისტრაციის რესურსების გათვალისწინებით ეფექტური გამტარუნარიანობა არის 1420 ვიზიტორი დღეში. როგორც პარაგრაფში 3.2.1.-ია აღნიშნული, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ბოლო წლებში ალგეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა წლიური რაოდენობა 38 000 აღწევდა (2019 წლის მონაცემებით). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმართა ზუსტი აღრიცხვის პრაქტიკა არ არსებობს და ფაქტიური ვიზიტების რაოდენობა უფრო მეტი შეიძლება იყოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დადგინდა, რომ დაცული ტერიტორიების გამტარუნარიანობის რესურსი მნიშვნელოვნად მაღალია (დაახლოებით 13-ჯერ) ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარებით. ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ სათანადო რეგულაციის პირობებში შესაძლებელია, რომ დაცულმა ტერიტორიებმა გაცილებით მეტი სტუმარი მიიღოს. ამასთანავე ეფექტური (დასაშვები) გამტარიანობის (ეგ) გაზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს ადგილობრივი ადმინისტრაციის მენეჯმენტის შესაძლებლობების გაუმჯობესების გზით.

ზემოთ წარმოდგენილი გაანგარიშებები წინასწარია და ითვალისწინებს გარკვეულ დაშვებებს. რეკომენდირებულია, რომ შერჩეულ ლოკაციებზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმარების ეტაპზე განხორციელდეს ტურისტული გამტარიანობის დეტალური შეფასება დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, ანალოგიური მეთოდოლოგიით. მნიშვნელოვანია დაინერგოს ვიზიტორთა უფრო ზუსტი აღრიცხვის მექანიზმი, რის შემდგომაც უფრო რეალისტური გახდება ფაქტიური ვიზიტების დასაშვებ გამტარუნარიანობასთან შედარება და ამის საფუძველზე დაცული ტერიტორიების რესურსების შეფასება. ფაქტიური ვიზიტების მეტ-ნაკლებად ზუსტი აღრიცხვის ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა სიმბოლური გადასახადების დაწესება დაცული ტერიტორიების შესასვლელებთან.

4.4 კონსერვაციის პრინციპების დაცვა და უსაფრთხოება

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ დაცულ ტერიტორიებში დღეისათვის არსებული და წინამდებარე დოკუმენტით შერჩეული ლოკაციების განვითარებისას აუცილებელი პირობაა მდგრადი განვითარების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების და ბუნებრივი კომპონენტების კონსერვაციის პრინციპების მაქსიმალური დაცვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიით და ალგეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საკითხები.

ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს მიზნობრივი ტურისტული ჯგუფების იდენტიფიცირება და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით ტურისტული ნაკადების სხვადასხვა ლოკაციებზე მაქსიმალური დივერსიფიცირების ხელშეწყობა. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო პერიოდში, დაცული ტერიტორიებით დაინტერესების მზარდი ტენდენციის პირობებში. ასეთი მიდგომით შესაძლებელი იქნება დღეისათვის ცნობად ლოკაციებზე ვიზიტორების მაღალი კონცენტრაციის და ამის გამო ბუნებრივი რესუსრების არამდგრადი გამოყენების პრევენცია, ასევე ეკოტურისტული ბილიკების ფარგლებში მაღალღირებულ ბიოლოგიურ კომპონენტებზე შემაწუხებელი ფაქტორის შემცირება.

ზემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით რეკომენდირებულია, რომ დღეისათვის ყველაზე ცნობადი ლოკაციების (წალკის კანიონი, დაბა მანგლისის მიმდებარე ადგილები) განვითარებისას აქცენტი გაკეთდეს სათავგადასავლო, საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებზე. ხოლო ღამის გასათევი და კვების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის უპირატესობა მიენიჭოს სხვა ნაკლებად ცნობად ლოკაციებს (ალტერნატივები 4, 5, 6, 7.). მეტი ძალისხმევა უნდა მოხდეს კერძო ბიზნესის მიერ ამ ლოკაციებით დაინტერესების და პოპულარიზაციის მხრივ.

ამავე დროს ზოგიერთ პერიფერიულ ლოკაციებზეც სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები შეზღუდულია. ამის მიზეზები შეიძლება იყოს არსებული რელიეფი, ბუნებრივი გარემოს მაღალი მგრძნობელობა თუ სოციალური საკითხები. შემოთავაზებულია რომ, ასეთ ლოკაციებზე აქცენტი გაკეთდეს რეკრეაციული ობიექტების და მცირე ზომის ღამის გასათევების (კოტეჯები) მოწყობაზე.

შერჩეულ პერსპექტიულ ლოკაციებზე ეკოტურისტული სერვისების დაგეგმვა-განვითარების პროცესში აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი კვლევების ჩატარება და შესაბამის სახელმწიფო უწყებებიდან შეთანხმებების/ნებართვების/ლიცენზიების მიღება (სავარაუდო კვლევების და საჭირო გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია მე-4 თავის შესაბამის პარაგრაფებში).

ალგეთის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებით საყუდარღებოა საშიში-გეოდინამიკური პროცესების (მათ შორის მეწყრულ-გრავიტაციული და ეროზიული პროცესები) ჩასახვა-გააქტიურების რისკები. თითოეული ლოკაციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საწყის ეტაპებზევე უნდა გაანალიზდეს არსებული საფონდო მასალა, არსებული რისკების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანია გარემოს ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენების ანალიზი და ამის შესაბამისად ლოკაციის განვითარების კონცეფციის განსაზღვრა. საკუთრივ პროექტირების და მშენებლობის ნებართვების მიღების პროცესში კი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდება დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რომლის მთავარი აქცენტი საშიში-გეოდინამიკური პროცესების შეფასება უნდა იყოს.

ყველა შეთავაზებული ლოკაციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გარდა ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილი კვლევების და სანებართვო დოკუმენტებისა, რეკომენდირებულია მომზადდეს საერთაშრისო საუკეთესო პრაქტიკით განსაზღვრული სპეციფიური დოკუმენტები. ალგეთის დაცული ტერიტორიების შემთხვევაში ესენი უნდა იყოს: გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (საკვანძო მიმართულებებია: ბიომრავალფეროვნება, საშიში გეოდინამიკური პროცესები), უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასევე რეკომენდირებულია, რომ მსაგვს დოკუმენტებში გათვალისწინებული იყოს კლიმატის ცვლილების საკითხები.

აუცილებელია საჭირო კვლევების და სანებართვო დოკუმენტაციების მიღების, ასევე სხვა დამატებითი (არა ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილი) დოკუმენტების და მართვის გეგმების მომზადების ვალდებულება დეტალურად გაწერილი იყოს კერძო ბიზნესთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. კვლევების და სანებართვო პროცედურების შესრულების ხარისხს მონიტორინგს გაუწევს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

როგორც წესი, კერძო ინვესტორს სურს მიიღოს იჯარის რაც შეიძლება ხანგრძლივი პერიოდი, რათა უზრუნველყოს საწყისი ინვესტიციის ამოგება. დაცულ ტერიტორიებზე გრძელვადიანი საქმიანობის რისკი არის ის, რომ ბიზნესი შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს, უარი თქვას ან შეეცადოს შეცვალოს საიჯარო ხელშეკრულების პრინციპები. ამრიგად, ისეთი გარანტიები, როგორიცაა უფლებებისა და პასუხისმგებლობების მონახაზი, მონიტორინგის პროცესები და არადამაკმაყოფილებელი შესრულების შემთხვევები, ასევე დეტალურად უნდა გაიწეროს ხელშეკრულებებში.

ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე ასევე ხელშეკრულებებში აუცილებელია აისახოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. კარგი პრაქტიკაა ინვესტორს გაეწეროს ვალდებულებები ადგილობრივი ინფრასტრუქტურის (მაგ. ადგილობრივი გზები) მოწესრიგების და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის თაობაზე.

5 დასკვნები და რეკომენდაციები

- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების, ასევე კერძო ბიზნესის დიდ ინტერესს იწვევს. აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების, ეროვნული და სერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაცული ტერიტორიების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, რესურსებით ჭარბი სარგებლობის პრევენციის გზით.
- დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მის მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო ინფრსატრუქტურა და კომუნიკაციების ქსელი, ასევე ტურისტული სერვისები სუსტად არის განვითარებული. საჭიროა უშუალოდ ეკო-ტურიზმთან დაკავშირებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, რაც მნიშველოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობისა თუ ტურიზმში ჩართული სხვა ოპერატორების სოციო-ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესებას.
- დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მის მიმდებარე ზონებში პრობლემატურია ნარჩენების მართვის საკითხი, რაც ამ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ასევე ეკო-ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ ხელისშემშლელი ფაქტორია. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს მოწესრიგებას, ნარჩენების მართვის გეგმების მომზადებასა და მის განხორციელებას.
- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკო-ტურიზმის განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი იქ არსებული თვითმყოფად ბუნებრივი გარემოსა და ლანდშაფტებთან ერთად, ისტორიულ-კულტურული ძეგლები წარმოადგენს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ეკო-ტურიზმის განვითარება მოხდეს შესაბამისი ობიექტების მართვასა და დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ერთად.
- ეკო-ტურიზმის განვითარებისათვის უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაცული ტერიტორიები ახლოს მდებარეობს საქართველოს დედაქალათან, რომლის ტურისტული პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნას დაცული ტერიტორიების ცნობადობის გასაზრდელად.
- ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიები ეკო-ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, კულტურული, აგრო და გასტრონომიული ტურიზმი და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ტურისტული სერვისები.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა ადამიანური რესურსებისა, მათ შორის და საჭირო აღჭურვილობის ნაკლებობა, შესაბამისად რეკომენდირებულია ეკო-ტურიზმის განვითარების პარალელურად დაცული ტერიტორიების თანამშრომლების, მათ შორის გიდების, მიმდებარედ მცხოვრები ტურიზმის სფეროში ჩართული წარმომადგენლების და სხვა ტუროპერატორების კვალიფიკაციის ამაღლება ტურისტული სერვისების განვითარების მიმართულებით.
- ეკო-ტურიზმის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება და შესაბამისი გეგმების მომზადება,

როგორიცაა ვიზიტორების გადაადგილების მარშრუტებზე უსაფრთხოების წესების შემუშავება, ხანძარსაწინააღმდეგო გეგმების მომზადება და ა.შ).

- ტურისტული ობიექტების მშენებლობის დაგეგმვამდე საჭიროა ტერიტორიაზე დეტალური ჰიდრო - გეოლოგიური კვლევების ჩატარება.
- გენერალური გეგმის პროექტის იმპლემენტაციის პროცესში შესასრულებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით მოთხოვნილი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება.

6 გამოყენებული ლიტერატურა

- ალგეთის ეროვნული პარკის, წალკის კანიონის ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლისა და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა;
- მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი;
- დაპროექტების ნორმები - ,,სამშენებლო კლიმატოლოგია” (პნ 01.05-08). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743, 2008 წელი;
- სამშენებლო ნორმების და წესები – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წელი.

ვებ-გვერდები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო - www.apa.gov.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია www.gnta.ge